სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 26 სექტემბერი 2006 №222 (2844) ფასი 50 თეთრი

რა ახლოს იყო სიხარული, ჰიმნი და დროშა...

დავით ბედინაძე და უორენის კომისია: ცოტა მეტი გამოცდილება



ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ ჩინურ გუანჯოუში მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და პირველივე დღეს საქართველოს ბერძნულ-რომულად მოჭიდავეთა გუნდმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. დასაწყისი ცუდი არ არის, მაგრამ უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო — 60კგ წონაში მოჭიდავე დავით ბედინაძეს ათიოდე წამიც უნდა გაეძლო ამერიკელი ჯო უორენისთვის და ოქრო მისი იქნებოდა. გულდასაწყვეტია, მაგრამ ასე არ მოხდა და 21 წლის ფალავანი ევროპის ჩემპიონატის დარად მსოფლიოზეც ვერცხლს დასჯერდა. დღეს გუანჯოუს ხალიჩაზე ყველაზე ტიტულოვანი ქართველი კლასიკოსები გავლენ — მანუჩარ კვირკველია, ბადრი ხასაია და რამაზ ნოზაძე.

ველით მედლებს და ქართულ ჰიმნს.

MEIN GOTT! ჭოპის ჭოპგუნდი არა და არ ეღირსა

ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების იმ ფეხბურთელთა 27-კაციანი სია გამოაქვეყნა, რომლითაც გუნდი სამ თამაშს მოილევს — 5 ოქტომბერს როსტოკის „ჰანზასთან“, 7 ოქტომბერს გერმანიის ნაკრებთან და 12 ოქტომბერს იტალიასთან. შეგახსენებთ, რომ პირველი ორი მატჩი ამხანაგურია.

გამოძახებულთა სიაში მაინც არიან მალხაზ ასათიანი და დავით მუჯირი, რომლებიც რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში ისე დაშავდნენ, მოედნიდან გასაყვანი გახდნენ. გუშინ გაირკვა, რომ მუხლმტკივან დავით მუჯირს ათი დღით მოუწევს უქმობა და, შესაბამისად, ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ იგი გერმანიასთან და იტალიასთან მატჩებისთვის ჯანზეც იქნება და ოპტიმალურ ფორმაშიც.

ბევრად რთულადაა ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ ასათიანის საქმე. მას გუშინ შევეხმიანეთ მოსკოვში და ეს გვითხრა: „დღეს ფეხზე სურათი გადამიღეს. მუხლი ძალიან გასიებული და გამაგრებული მაქვს. დამინიშნეს მკურნალობის ციკლი, რასაც, უკეთეს შემთხვევაში, სულ მცირე, ორი კვირა დასჭირდება“.

ასათიანის ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ მისი გერმანიასთან და იტალიასთან თამაში, ფაქტობრივად, გამორიცხულია, მკურნალობას ხომ აღდგენითი პროცესიც უნდა მოჰყვეს და ეს ყველაფერი 7-11 ოქტომბრამდე ვერ ესწრება — თუ სასწაული არ მოხდა, საქართველოს ნაკრებს ევროგრანდებთან უაღრესად ფასეული მოთამაშე გამოაკლდება.

ასათიანი თითქმის გამორიცხულია, მუჯირიც იქვეა...

ბადრი კეთილაძის ფოტო

მეკარეები

გიორგი ლომაია (ლუჩ-ენერგია, რუსეთი), გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი), ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი)

მცველები

კახა კალაძე (მილანი, იტალია), დავით კვირკველია (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლეკბერნი, ინგლისი), კახა ალადაშვილი (დნიპრო, უკრაინა), მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), გიორგი შაშიაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ილია კანდელაკი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), დავით იმედაშვილი (დინამო, კიევი, უკრაინა), ალექსანდრე ამისულაშვილი (შინიკი, რუსეთი)

ნახევარმცველები

ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით მუჯირი (კრილია, რუსეთი), გოგიტა გოგუა (ნალჩიკი, რუსეთი), ლევან ცქიტიშვილი (პანიონიოსი, საბერძნეთი), ზურაბ მენთეშაშვილი (შინიკი, რუსეთი), ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა)

თავდამსხმელები

მიხეილ აშვეთია (რუბინი, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ოთარ მარცვალაძე (დინამო, კიევი, უკრაინა), შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია), ვასილ გიგიაძე (კრივბასი, უკრაინა), გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა).

WOW!

ანჩხლმა ბებერმა რაულს უკბინა

რაულ გონსალესს — ფეხბურთელს, რომელიც სკოლის მერხიდანვე „რეალის“ ძირითადის მოთამაშედ და გოლეადორად იქცა, ლუის არაგონესმა ავი თვალი დაადგა.

„სანამ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ვარ, რაულს არ გამოვიძახებ“ — ერთი წინადადებით მოჭრა არაგონესმა.

ჭირვეული ხასიათით ცნობილ სპეციალისტს 7 ოქტომბერს შვედეთთან ევროშესარჩევი და 11 ოქტომბერს არგენტინასთან ამხანაგური მატჩებისთვის შემადგენლობა ჯერ არ გამოუცხადებია, მაგრამ ის კი თქვა, რაულს სიაში ვერ ნახავთო.

კი, მართალია, რაული დღეს იმის ნახევარიც ველარაა, სამი-ოთხი წლის წინ რომ იყო, მაგრამ მის გარეშე ესპანელთა ნაკრები რაღაც წარმოუდგენელია. ვითომ მხოლოდ ფორმაში არყოფნაა იგნორირების მიზეზი?

არაგონესი კარტებს არ ხსნის.

ეს შემთხვევითი არ არის

გშრალ ფოლიანაშვილის ფოტო

გიორგი კიკნაძის განწვრთნილი რუსთავის „ოლიმპი“ ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი მეშვიდე ტურში გახდა — შინ „ვიტ ჯორჯიას“ 4:0 მოუგო და ბურთების უკეთესი სხვაობით თბილისის „ამერს“ გადაასწრო. „ოლიმპის“ სიძლიერეს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს და მათ შორის არც მწვრთნელს ვუკარგავთ გარჯას. კიკნაძეს გუშინ შევხვდით ვარჯიშის შემდეგ და პირველ რიგში „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...

შესაძლოა, ლევან მელქაძე ოლიმპელი გახდეს

ალექსანდრ ფეფოლოვის ფოტო

გიორგი კიკნაძე ირჩევს მეგობრობას

— როცა დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები თამაშობენ და მატჩი 4:0 მთავრდება, ამბობენ, რომ ეს შემთხვევითი ანგარიშია — ეთანხმებით ასეთ ფორმულირებას?

— ასეთ ანგარიშს ნამდვილად არ ველოდი. ხანდახან ისე ხდება, რომ გუნდი საგოლე მომენტებს მაქსიმალურად იყენებს და ასე იყო ამ შემთხვევაშიც.

— „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩამდე გავრცელდა ხმები, რომ „ოლიმპის“ ხელმძღვანელობის ერთი ნაწილი თქვენ გათავისუფლებაზე ფიქრობდა...

— ასეთი საუბრები ჩვენი „ზესტაფონთან“ და „სიონთან“ მატჩებამდე იყო, მერე კი, როგორც ვიცი, ეს ვარაუდები გაქარწყლდა. ვფიქრობ, ამ მომენტისთვის ეს საკითხი მოხსნილია.

— შვიდი თამაში, ექვსი მოგება, ერთი ფრე და არც ერთი გაშვებული ბურთი — რისი წყალობით მიაღწია ამას „ოლიმპმა“?

— როცა შვიდ თამაშში თვრამეტ გოლს გაიტან და არც ერთს გაუშვებ, ეს შემთხვევითობა არ არის. „ოლიმპის“ ასეთ შედეგს ის განაპირობებს, რაც ყოველთვის გვაკლდა ქართველებს — სათამაშო დისციპლინა. სწორედ ამ კომპონენტზე ვაკეთებთ აქცენტს. ისიცაა, რომ თუ სათანადო შემსრულებლები არ გყავს, რაც უნდა კარგი და სწორი დავალება მისცე ფეხბურთელებს, აზრი არ ექნება. ტაქტიკას იმის მიხედვით ვარჩევთ, თუ როგორი შემსრულებლები გვყავს. ვინც „ოლიმპის“ თამაშებს უყურებს, დაგვეთანხმება, რომ საქართველოში ფეხბურთელების ერთ-ერთი საუკეთესო კონტინგენტი გვყავს.

— 30 წლის ხართ — ფეხბურთელებთან მეგობრული დამოკიდებულება გაქვთ თუ პედანტური და მკაცრი?

— მეგობრული ურთიერთობა საქმის კეთებით უნდა გამყარდეს — ასეთ პრინციპს ვამჯობინებ და თუ ასე არ მოხდება, მაშინ სხვანაირი იქნება ფეხბურთელებთან მიდგომა. მე მეგობრული ურთიერთობა მირჩევნია და მიხარია, რომ „ოლიმპის“ ფეხბურთელები ამას ხვდებიან.

— მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგწონთ?

— ვისთანაც ვითამაშეთ, ყველაზე უფრო „ვიტ ჯორჯია“ მომეწონა მიუხედავად მასთან ასეთ ანგარიშით გამარჯვებისა. ამ სეზონში ჯერ არ მინახავს „დინამოს“ თამაში. რაც შეეხება „ამერს“, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება ჩვენი შეხვედრა.

— „ოლიმპში“ ვარჯიშობს ნორვეგიული „ვოლერენგადან“ წამოსული ლევან მელქაძე — არის იმის შესაძლებლობა, რომ მელქაძე ოლიმპელი გახდეს?

— მელქაძეს „ვოლერენგასთან“ დეკემბრამდე აკავშირებს კონტრაქტი. იგი ძალიან გამოგვადგებოდა, მაგრამ თუ „ოლიმპი“ მას იჯარით აიყვანს, ჯერ ნორვეგიულ მხარესთან უნდა მოგვარდეს ფორმალობები. მოკლედ, ვნახოთ, რა როგორ იქნება.

— რევაზ გეწაძე და გოჩა ხოჯავა — ისინი ჯერ არ არიან ოპტიმალურ ფორმაში, მაგრამ, ალბათ, საკმაოდ დიდ რესურსს წამოადგენენ თქვენი გუნდისთვის...

— იმედი მაქვს, ისინი მოუმატებენ და ამით გუნდში სერიოზული კონკურენცია შეიქმნება. თუ რამდენ ხანში მოახერხებს ორივე საუკეთესო ფორმაში შესვლას, ეს პირველ რიგში მათზეა დამოკიდებული.

— სეზონის დაწყების წინ „ოლიმპს“ არ ჰქონდა კონკრეტული ამოცანა და ახლა, როცა პირველ ადგილზე ხართ, რა მიზანს უმიზნებთ?

— ჯერჯერობით ამოცანებს ტურიდან ტურამდე ვგეგმავთ.

— „ოლიმპის“ მეკარე მიხეილ ალავიძეს როგორ დაახასიათებდით, რას იტყვით მის სანაკრებო პერსპექტივაზე?

— ალავიძე 18 წლისაა, მიმდინარე ჩემპიონატში ჯერ გოლი არ გაუშვია, მაგრამ ნაკრების მწვრთნელებისგან მის მიმართ ინტერესს ვერ ვხედავ. ალავიძეს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის შანსი უნდა მისცენ. ის კარგად თამაშობს ხაზზე და გამოსვლებზეც, გრძნობს სათამაშო სიტუაციებს, დიდი პოტენციალის მეკარეა. ვფიქრობ, ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის შანსი უნდა მისცენ კახელიშვილსაც და დვალიშვილსაც.

— ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ჩემპიონატის მატჩებს რომ არ ესწრება, ამაზე რა აზრის ხართ?

— ტოპმიოლერი აუცილებლად უნდა დადიოდეს ეროვნული ჩემპიონატის ყველა საუკეთესო გუნდის თამაშზე.

დავით თავართქილაძე

ჭელიძე საფრანგეთშია

მოსკოვის „ლოკომოტივის“ 20 წლის ქართველი თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე საფრანგეთშია და იქ აგრძელებს მკურნალობის კურსს.

ჭელიძე ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაშავდა, თუმცა ვარჯიშის განახლება დიდად არ გაუჯანჯლებია და...

ხელმეორე ტრავმა რკინიგზელთა ქართველ ფორვარდს დღემდე არ აძლევს მოედანზე გასვლის საშუალებას.

ახლა კი ჭელიძე საფრანგეთშია და, როგორც შევიტყვეთ, გარკვეული ხნით იქაურ ექიმებთან მოუწევს მკურნალობა — ასე გადაწყვიტეს „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებმა.

ლუკა თალაკვაძე

ინგლისი

პრემიერლიგა. VI ტური

პორტსმუთი 0:1 ბოლტონი

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. VIII ტური

ჰონვედი 1:2 ზალაეგერსეგი

იტალია

სერია B. IV ტური

ტრევიზო 1:0 ლეჩე

ბოლონია 1:3 რიმინი

სერია C/B. IV ტური

კავეზე 3:2 ანკონა

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

IX ტური

მეცი 2:1 მონპელიე

პორტუგალია

სუპერლიგა. IV ტური

ლეირია 1:0 მარიტიმუ

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

VIII ტური

მოსტი 2:1 ბანიკი

ნორვეგია

ტიპელიგა

XXI ტური

ოდ გრენლანდი 0:4 რუსენბორგი

შვედეთი

ალსვენსკა. XX ტური

გეფლე 2:0 იურგორდენი

გიოტებორგი 0:0 გაის

კალმარი 0:0 ჰეკენი

სუპერეტა. XXVI ტური

ლიუნგსკილე 0:0 ნორჩიოპინგი

სუნდსვალი 2:0 ლანდსკრონა

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

V ტური

კიოლნი 1:0 ესენი

იოახიმ ლიოვთან ეს ინტერვიუ ფიფას ოფიციალური ვებგვერდიდან გახლავთ, ჩვენი დაინტერესება კი სავსებით გასაგები და ლოგიკურია: ლიოვის გერმანია საქართველოს ეროვნული გუნდის უახლოესი სანაკრებო მეტოქეა...

იყვირეთ ცოტა, ოღონდ მართლა

იოახიმ ლიოვი გერმანიას ოქტომბერ-ნოემბერში ელის

— იოახიმ, თქვენ გერმანიის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ხართ, მაგრამ ამ პოსტზე დანიშვნამდეც ნაკრებში მუშაობდით. არის თუ არა რაიმე ცვლილება მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების, ანუ თქვენი დანიშვნის მერე?

— ძირითადი განსხვავება მწვრთნელის ასისტენტობასა და მთავარ მწვრთნელობას შორის ის არის, რომ ახლა გაცილებით ბევრი თვალი მომჩერებია. რაც შეეხება სანაკრებო ცვლილებებს, ამ თვალსაზრისით პრინციპული ცვლილებები არ გვაქვს. მე და იურგენ კლინსმანმა ორი წლის წინ ჩამოვაყალიბეთ ის პრინციპები, რომლებითაც აქამდე ვხელმძღვანელობდით. კლინსმანის წასვლით ეს პრინციპები არ შეცვლილა. ცხადია, ნაკრებში ჩემთვის ახალიც არაფერია.

— მსოფლიოს ჩემპიონატისას განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო გერმანიის ნაკრების საუცხოო ფიზიკური გამძლეობა. არის რაიმე კომპონენტი, რის დახვეწაზე მუშაობას კვლავაც აგრძელებთ?

— დიახ, ჩვენ საუკეთესო ფიზიკურ ფორმაში ვიყავით. საქმე ისაა, რომ ჩვენ ფეხბურთელები ჯერ შევამოწმეთ, მერე კი ინდივიდუალური სავარჯიშო პროგრამები დავუწესეთ, რათა განსხვავებულ ფორმაში მყოფი ფეხბურთელები საბოლოო ჯამში თანაბრად ძლიერად მომზადებულიყვნენ. ამ მეთოდს კვლავაც მივმართავთ.

— მუნდიალზე მესამე ადგილის დაკავების მერე გერმანიის ნაკრების მიმართ მოთხოვნები გაიზარდა. შესაბამისად, თქვენზეც მეტი ზეწოდა იქნება. ამას როგორ გაუძლებთ?

— გეხსომებათ, ჩვენმა თამაშმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გულშემატკივართა ეიფორია გამოიწვია. ახლა უნდა ვეცადოთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ნაკრებისადმი გულშემატკივართა ამგვარი განწყობა შევინარჩუნოთ. თუ გუნდში მუნდიალის დროინდელ განწყობას შევინარჩუნებთ, ეს არ გაგვიჭირდება. შესარჩევი ჯგუფიდან გასვლის საუკეთესო შანსი გვაქვს.

— მესამე ადგილისთვის მატჩში პორტუგალიის ძლევის მერე მთელი გერმანია უდიდესმა სიხარულმა მოიცვა. მაგრამ ჩემპიონატი დამთავრდა და რამდენად ადვილია თქვენთვის ყოველდღიურობასთან დაბრუნება? ამასთანავე, მუნდიალზე მიღწეული წარმატება მომდევნო მატჩებში მოტივაციის ნაკლებობის პრობლემას ხომ არ შეგიქმნით?

— ჩვენს ფეხბურთელებს მტკიცე ხასიათი აქვთ. თან ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია და მოთამაშეთა დიდ ნაწილს ყველაფერი წინ აქვს. წარმოუდგენელია, რომ ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე დაკავებული მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ. ეს ის თაობაა, რომელიც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშებს.

— ახალგაზრდები ახსენეთ. ჩემპიონატის წინ ბევრი გაკრიტიკებდათ სწორედ ახალგაზრდული შემადგენლობის გამო. თვლით, რომ კრიტიკოსები გააჩუმეთ?

— ჩემთვის მთავარი ის არის, რომ გუნდს ზრდის დიდი პოტენციალი აქვს. თუ ჩვენი ახალგაზრდები დღეს ვერ თამაშობენ ისე, როგორც ანრი, ბალაკი, შევჩენკო ან რონალდინიო, ეს არაფერს ნიშნავს. ლამი, პოდოლსკი, შვაინშტაიგერი ჯერაც იმ ასაკში არიან, ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში რომ ერგებათ. ისინი პიკს 25-26 წლისანი მიაღწევენ.

— სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელები თუ არიან თქვენი თვალთახედვის არეში?

— ვინც უკვე დაიმსახურა ჩვენი ნდობა, ნაკრებშია. მათ გარდა არიან შტეფან კესლინგი, პიოტრ ტროხოვსკი, ეუგენ პოლანსკი, გონსალო კასტრო, რომლებიც გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობენ. მინდა, ისინი ეროვნულ ნაკრებში გამოვცადო, თუმცა ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ევროშესარჩევ ციკლში წარმატებით თამაშია.

— თქვენი ორი ვარსკვლავი, იენს ლემანი და მიხაელ ბალაკი უცხოეთში თამაშობენ. როგორ ფიქრობთ, ეს მათი სანაკრებო კარიერისთვის კარგია თუ ცუდი?

— კარგია. ლემანს ინგლისში დრო უქმად არ დაუკარგავს, ბალაკმაც გერმანიაში თავისი შესაძლებლობები ამოწურა. მას ახალი სივრცე სჭირდებოდა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო, „ჩელსიში“ რომ გადავიდა. ზოგადად კი, გარკვეული ასაკის მიღწევის და გამოცდილების მიღების მერე ცუდი არ არის კარიერის უცხოეთში გაგრძელება.

— სან მარინოსთან მატჩში ლუკაშ პოდოლსკიმ ოთხი გოლი გაიტანა, არადა, ბუნდესლიგის მატჩებში ის „ბაიერნის“ სათადარიგოთა სკამზე ზის. როგორ ახსნით ამას?

— იოლი ასახსნელია. პოდოლსკიმ შთამბეჭდავად ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე, თან „კიოლნიდან“ „ბაიერნში“ გადავიდა. ზაფხული მისთვის ემოციურად მეტისმეტად დატვირთული გამოდგა. ამასთანავე, ახალ კლუბში მოსამზადებლად მხოლოდ ორი კვირა ჰქონდა და შესაძლო იყო, თავიდანვე ისე ვერ ეთამაშა, როგორც მას შეუძლია და როგორც მისგან ელიან. პირადად ჩემთვის მთავარია, რომ ამ ეტაპზე „ბაიერნში“ პოდოლსკის შეცვლაზე თამაშის საშუალებას აძლევენ. კითხვას განვაზოგადებ და ვიტყვი, რომ ნაკრების ფეხბურთელთა დიდი ნაწილი, რომლებსაც ახალი სეზონის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის გამო სრულფასოვანი მომზადება არც გაუვლიათ, სასურველ ფორმაში ოქტომბერ-ნოემბერში შევლენ.

— ევროპის ჩემპიონატის თქვენს შესარჩევ ჯგუფს როგორ შეაფასებთ?

— ჯგუფში რამდენიმე უაღრესად გამოცდილი გუნდია, რომელთაც ნებისმიერი მეტოქისთვის პრობლემების შექმნა შეუძლიათ — ჩეხეთს, სლოვაკეთს და ირლანდიას ვგულისხმობ. მაგრამ ჩვენს მეზობელ ავსტრიასა და შვეიცარიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენც რომ ვითამაშებთ, ეჭვი არ მეპარება.

— თქვენ მშვიდ, გაწონასწორებულ პიროვნებად გიცნობენ. თუ ყოფილა შემთხვევები, როცა გასახდელში ხმისთვის აგიწევიათ?

— სიტუაციას გააჩნია. თუ გაუთავებლად ღრიალებთ, გარწმუნებთ, ვერავის ვერაფერს გააგებინებთ, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ყვირილი ერთადერთი გამოსავალია.

საკლუბო საქართველო

კიოლნს და ფრაიბურგს ჰანზაც შეუამხანაგდა

5 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები როსტოკში ადგილობრივ „ჰანზას“ ამხანაგურად გაეჯიბრება. ეს არაოფიციალური მატჩი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ბოლოწამს გაჩარხა და ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერს კიდევ ერთი შესაძლებლობა მისცა, მოთამაშეების საქმეში ნახოს.

ამგვარად, იტალიასთან 11 ოქტომბრის ევროშესარჩევი მატჩის წინ ქართველები „ჰანზას“ და გერმანიის ნაკრებს გაეჯიბრებიან.

საინტერესოა, რომ საქართველოს ნაკრებს აქამდე ორ გერმანულ კლუბთან უთამაშია — 2001 და 2002 წლებში, დავით ყიფიანისა და რევაზ ძოძუაშვილის მწვრთნელობისას ჯერ „კიოლნს“, მერე კი „ფრაიბურგს“ შეხვდა და ორჯერვე მოიგო.

„ჰანზა“ მესამე გერმანული კლუბია, საქართველოს ნაკრებს რომ შეხვდება, ქვემოთ კი იმ ორი სპარინგის ოქმებს გაეცნობით. შევნიშნოთ, რომ იმ ორ მატჩში მწვრთნელებმა თავის გამოჩენის საშუალება მისცეს 25 ფეხბურთელს, რომელთაგან დღეს ნაკრებში ათია.

ბაბა შალამბერიძე

28 თებერვალი, 2001 წელი. კიოლნი.
„მუნგერსდორფერშტადიონი“. 6 000

„კიოლნი“ 0:2 საქართველო

0:1 ქეცბაია (74), 0:2 აშვეთია (80)

საქართველო: გვარამაძე, ხიზანიშვილი (აბრამიძე 46), ქემოკლიძე, სილაგაძე, კობიაშვილი (ასათიანი 46), ნემსაძე (ალექსიძე 46), რეხვიაშვილი, ცქიტიშვილი (თოდუა 46), ქეცბაია, შ. არველაძე (ზ. ჯანაშია 46), ა. არველაძე (აშვეთია 46)

მწვრთნელები: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი

მსაჯი: კ. ჰენდელი (გერმანია)

1 სექტემბერი, 2002 წელი. ფრაიბურგი.
„დრაიზამშტადიონი“. 5 000

„ფრაიბურგი“ 2:3 საქართველო

0:1 ყაველაშვილი (12), 0:2 ჯანაშია (42), 0:3 შ. არველაძე (53), 1:3, 2:3 ჰუგელი (64, 81)

საქართველო: გვარამაძე (ზოიძე 46), სილაგაძე, თოდუა (დიდავა 46), კალაძე, ნემსაძე (ა. იაშვილი 46), ყაველაშვილი (ჯამარაული 46), ზ. ჯანაშია (ა. არველაძე 46), კობიაშვილი (სიჭინავა 46), დემეტრაძე (ცქიტიშვილი 46), ხიზანიშვილი (შ. არველაძე 46), მენთეშაშვილი (გოგიჩაიშვილი 46)

მწვრთნელები: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი

მსაჯი: ა. კროცლი (გერმანია)

თქვენი ინტერვიუ

მალხაზ ასათიანთან

თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ“ არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

საქართველოს ჩემპიონატი 18

უმაღლესი ლიგა

I წრე. 7 ტური

ერთიანული ფიზიკურთა

ბადრი ბერიძის ფოტო

სიონი — ამერი. დავით სევასტოპულოს გოლმა „ამერი“ სეზონში პირველი მარცხისგან იხსნა

გახსოვთ, არველაძეებით, ქინქლაძით, ჯამარაულით და სხვებით დახუნძლული „დინამო“ ყველა ქართულ გუნდს ბდღვირს რომ ადენდა და 8:2 თუ 7:0 იგებდა? დღევანდელ რუსთავის „ოლიმპს“ მაშინდელ „დინამოს“ ნაღდად ვერ შევადარებთ, მაგრამ რუსთაველებმა ასე თუ გააგრძელეს... 7 მატჩი, 7 მოგება, ბურთების შეფარდება 18:0 — ციფრები ყველაფერზე მეტყველებს. მეშვიდე ტურის მიმოხილვის დაწყება ბოლნისური მატჩით გვინდოდა, რომელშიც ჩემპიონი „სიონი“ თასის მფლობელ „ამერს“ მასპინძლობდა და კარგი თამაშიც გამოვიდა, მაგრამ ჯერ რუსთავული მოულოდნელობა მოვილიოთ...

ორქალაქიანობა

ამერმა თან მოიპოვა, თან დაკარგა. ოლიმპმა ხალხს შუბლი მოასრესინა

საქართველოს ჩემპიონატში თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ სამბურთიან მარცხს თუ ვინმე გაგვახსენებს, მადლობელი დავრჩებით. რუსთავში კი გეგმა გადაჭარბებით შესრულდა — „ოლიმპმა“ პირველი ტაიმის ბოლო 12-წუთიან მონაკვეთში ნანგრევებად აქცია ნესტორ მუმლაძის გუნდი. ვიტელთა დაცვას ძველ ბელგიურ „სტანდარდამდე“ ბევრი უკლია, ჰოდა, ხელოვნური თამაშგარეები არ გამოუვიდათ და ოლიმპელთა პირველი ორი გოლიც აქედან გამოცხვა.

ჩინებული მწვრთნელი იშოვა „ოლიმპმა“. გიორგი კიკნაძე ადრეც არაერთხელ შეგვიქია და არც ახლა დაგვეზარება, მაგრამ ცალკე უნდა ვთქვათ მეკარე მიხეილ ალავიძეზე — ვეფხვივით დგას კარში და გოლს ცოცხალი თავით არ უშვებს — უკვე 630 წუთი გაძლო და ვინ იცის, სადამდე აპირებს სერიის გაგრძელებას.

რუსთაველებმა პირველ ადგილზე აინაცვლეს და ბურთების შეფარდებით უსწრებენ „ამერს“, რომელმაც ბოლნისში თან ქულა მოიპოვა, თან ორი ქულა დაკარგა. თავად განსაჯეთ — „ყვითლებმა“ დასაწყისშივე გაუშვეს გოლი, მერე კი თითქმის გაუთავებლად უტევდნენ და მე-80 წუთზე გაათანაბრეს, მანამდე კი მასპინძელთა ძალებსაც დაუტოვეს „ავტოგრაფები“.

ნამატჩევს ორივე გუნდის მწვრთნელმა, გიორგი ყიფშიძემ და გიორგი ჩიხრაძემ თქვეს, შედეგი ლოგიკური იყოო.

ისე, „ამერს“ თავში ხელწასაშენი არაფერი სჭირს — რაგინდ უფერული იყოს „სიონი“, „თამაზ სტეფანიადან“ სამი ქულის წაღება ძნელია.

„დინამომ“ ვერც დუშან უჰრინის ხელში მოახერხა „ზესტაფონის“ შეჩერება. ბოლო რვა ურთიერთშეხვედრიდან ფეროელებმა მეხუთედ მოუგეს (დანარჩენ სამში კი ფრე იყო) დინამოელებს და ამჯერად ზურაბ იონანიძემ კი არა, შალვა ღონღაძემ გაიტანა.

ღონღაძე გადამწყვეტი გოლების ოსტატად ყალიბდება — წინა სეზონში „ამერს“ ჯერ ჩემპიონატში, მერე კი თასის ფინალის ბოლო წუთზე გაუტანა, ახლა კი უჰრინის გუნდსაც მისწვდა.

ჩეხი მწვრთნელი ალბათ მომავალში დაატყობს ხელს „დინამოს“, აი, თემურ მახარაძის მისვლა და ფეროელთა მოფერიანება კი ერთი იყო — „ზესტაფონი“ ხუთი ქულითლა ჩამორჩება ლიდერებს და, სავარაუდოდ, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

16 წლის ლევან ყენიამ დასაწყისშივე გაუტანა „ბათუმს“, მერეც ბევრი ანერვიულა მეტოქის დაცვა და თბილისის „ლოკომოტივმა“ საბოლოოდ 1:0 სძლია ზღვისპირელებს.

საჩხერის „ჩიხურამ“ კი ბევრი უტრიალა დედაქალაქური „მერანის“ კარს, მაგრამ ვერა და ვერ ელირსა გოლს.

ისე, ეს ფრე ორივე გუნდისთვის ისტორიული იყო — ზემოიმერლეებმა პირველი ქულა აიღეს სტუმრად, ხოლო „მერანმა“ შინ.

თელავის „კახეთმაც“ პირველი ქულა აიღო ამ სეზონში, მაგრამ სამთანაც ახლოს იყო — ორჯერ უგებდა მასავით ბეჩავ „დილას“, მაგრამ გორელებმა ორჯერვე გაათანაბრეს და მათმა მწვრთნელმა რევაზ მამესწარაშვილმაც „დილასთვის“ ლეგენდად ქცეული სიტყვები თქვა: „უპატრონო გუნდი ვართ, ფინანსურად ძალიან გვიჭირს, მაგრამ იმედია, რაიონის ხელმძღვანელობა მხარში ამოგვიდგება“.

მამესწარაშვილის სიტყვებს რას ვერჩით, „ბორჯომის“ თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ თავის კამერუნელ ლეგიონერებზე ისეთი თქვა...

„ორივე კამერუნელი „სიონმა“ ჩაიყვანა, მაგრამ გუნდში არ აიყვანა და ჩვენ შევიფარეთ. აბა, წასასავლელი არსად ჰქონდათ და შიმშილით დაიხოცებოდნენ“.

რას იტყვით? ბოლოხანს საქართველოში ხშირად ქვეყნდება სამუშაო ვაკანსიები, ყველა კუთხე-კუნჭულში დასაქმების ცენტრებია და იქნებ პარალელური სამსახურიც ეშოვათ კამერუნელებს...

გუნდი, სადაც ფეხბურთელები ამ კრიტერიუმით აჭყავთ, დიახაც, უნდა აგებდეს — მით უმეტეს, სტუმრად ქუთაისის „ტორპედოსთან“...

ილია ნანოგაშვილი

	სიონი	1:1	ამერი			
	ტორპედო	2:1	ბორჯომი			
	ზესტაფონი	1:0	დინამო			
	ლოკომოტივი	1:0	ბათუმი			
	ოლიმპი	4:0	ვიტ ჯორჯია			
	მერანი	0:0	ჩიხურა			
	კახეთი	2:2	დილა			
ოლიმპი	7	6	1	0	18:0	19
ამერი	7	6	1	0	13:2	19
ზესტაფონი	7	4	2	1	8:3	14
ვიტ ჯორჯია	7	4	2	1	12:8	14
ტორპედო	7	4	2	1	7:3	14
დინამო	7	4	0	3	12:6	12
სიონი	7	3	1	3	8:7	10
ლოკომოტივი	7	2	2	3	6:9	8
მერანი	7	2	2	3	6:10	8
ჩიხურა	7	1	3	3	4:8	6
ბათუმი	7	1	2	4	5:7	5
ბორჯომი	7	1	1	5	8:16	4
დილა	7	0	2	5	4:18	2
კახეთი	7	0	1	6	7:21	1

ბომბარდირები

4-ზეიქრიშვილი	*ვიტ ჯორჯია*
ბოჩაშვილი	*ლოკომოტივი*
დვალიშვილი	*ოლიმპი*
3-დვალი	*დინამო*
იაშვილი	*დინამო*
საჯაია	*ბორჯომი*
ბაგუა	*მერანი*
სახოძია	*ვიტ ჯორჯია*
გელაშვილი	*ვიტ ჯორჯია*
გამეზარდაშვილი	*ტორპედო*
სირბილაძე	*ოლიმპი*
ქებაძე	*ოლიმპი*
ალავიძე	*სიონი*

სიმბოლური ნაკრები



მომდევნო ტური

14 ოქტომბერი, შაბათი

ბორჯომი – ვიტ ჯორჯია

ჩიხურა – ოლიმპი

ბათუმი – მერანი

დინამო – ლოკომოტივი

დილა – ზესტაფონი

ამერი – კახეთი

ტორპედო – სიონი

შოთას გოლეადა ჰოსტსაბჭოეთში ქართველი პირველია

მოდი და, ნუ ინატრებ ასეთ კარიერას: შოთა არველაძე 1992 წლიდანაა ევროპულ კლუბებში და გოლები პენტაპუნტით გააქვს. რა თქმა უნდა, გააჩნია, ვინ ინატრებს — რონალდოზე და ტიერი ანრიზე არაა ლაპარაკი, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ქართველებს მალე მართლა გვეყოლება შოთასნაირი ფორვარდი სანატრელი...

ერთ-ერთ საფეხბურთო-სტატისტიკურ ვებგვერდზე ეს ამოვიკითხეთ: დათვლილია ფეხბურთელთა გოლები ეროვნული ჩემპიონატების უმაღლეს ლიგებში და არველაძე მსოფლიოში 112-ე ადგილზეა — მონაცემები 2006 წლის 30 ივნისისაა და ამიტომ შოთას ყულაბაში 249 გოლია!

ალბათ, პირველი ხუთეულიც დაგაინტერესებთ, რომელსაც, ცხადია, „ფეხბურთის მეფე“ პელე ლიდერობს...

1. პელე — 560 მატჩი, 541 გოლი
2. იოზეფ ბიკანი — 341-518
3. ფერენც პუშკაში — 533-511
4. რომარიო — 603-485
5. რობერტო „დინამიტი“ — 758-470

...

112. შოთა არველაძე — 397-249

სავარაუდოდ, შოთა სულ მალე შევა ასეულში — დღევანდლამდე ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით, მხოლოდ ორი გოლი სჭირდება.

საინტერესოა, რომ ამ სიაში მოქმედი ფეხბურთელებიდან ქართველი ბომბდამშენი მეხუთე ადგილზეა და მხოლოდ რომარიოს (485 გოლი), ხოსე კარდოსოს (316), ხუან კარლოს პლატას (294) და ჰაკან შუქურს (253) ჩამორჩება.

და კიდევ, ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებიდან არველაძე ამ სიაში ყველას უსწრებს.

ილია ნანობაშვილი

არველაძის მონაგარი

1991	იბერია	37	25
1991-92	დინამო	23	18
1992-93	ტრაბზონი	18	15
1993-94	დინამო	7	8
1994-95	დინამო	8	11
1994-95	ტრაბზონი	17	12
1995-96	ტრაბზონი	34	25
1996-97	ტრაბზონი	27	9
1997-98	აიაქსი	31	25
1998-99	აიაქსი	19	7
1999-2000	აიაქსი	17	5
2000-01	აიაქსი	28	18
2001-02	აიაქსი	2	0
2001-02	რეინჯერსი	22	11
2002-03	რეინჯერსი	30	15
2003-04	რეინჯერსი	19	12
2004-05	რეინჯერსი	18	4
2005-06	ალკმაარი	21	22
2006-07	ალკმაარი	5	3

გერმანია სათბილისოდ გამოცდებზე ვარჯიშობს

ჩვენმა მეტოქემ, გერმანიის 17-წლამდელთა ნაკრებმა URS-APHARM-ის ტურნირში ორი მატჩი ჩაატარა და პირველ ტურში ჰოლანდიასთან დამარცხების შემდეგ ყატარს 4:0 მოუგო. გოლები ბასტიან ევერსმა (24-ე წუთზე), ფაბიან გიოტცმა (43), მარვინ კნოლმა (61) და კევინ ვოლცმა (80) გაიტანეს.

გერმანელთა მთავარი მწვრთნელი პაულ შომანი ამ მატჩებით კმაყოფილი დარჩა: „გუნდმა ჰოლანდიასთან წაგების შემდეგ ბევრი რამ შეცვალა და თამაში გააუმჯობესა. ყატართან პირველ ტაიმში 1:0 არცთუ სასურველი შედეგი იყო, თუმცა მერე გუნდმა მაინც მიიღო ის, რაც ეკუთვნოდა.“

გერმანელების თქმით, ეს ტურნირი პირველი სერიოზული გამოცდა იყო ამ გუნდისთვის და ამავე დროს საუკეთესო მოსამზადებელი ეტაპია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის.

შეგახსენებთ, რომ ევროშესარჩევი ტურნირი თბილისში 13-18 ოქტომბერს გაიმართება და გერმანიის გარდა ჩვენი მეტოქეები რუსეთი და მაკედონია არიან.

ნინო სილაგაძე

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	ლივორნო 0:0	85	შეცვლაზე ითამაშა	2	0	12
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	ვოლფსბურგი 2:0	90		4	0	2
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ფიურტი 3:3	90		4	0	13
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	შ	ფიურტი 3:3	0	სათადარიგო	0	0	13
დავით სირაძე	აუე	ს	ბურგჰაუზენი 1:1	90		4	0	14
მათე ღვინიანიძე	მიუნხენი	ს	დუისბურგი 0:0	90		4	0	5
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	დარმშტადტი	შ	ჰესენი 2:1	63	შეცვალეს	7	0	13
გერმანია. ჩრდილოეთ ობერლლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	ლაიპციგი	შ	კარლ ცაისი (მ) 2:1	0		1	0	6
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	ს	ბლეკბერნი 1:0	90		5	0	10
ჰოლანდია. მრედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	ს	როდა 2:0	90	1 გოლი	5	3	1
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	სპარტა 2:0	0		1	0	7
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ცსკა 2:1	10	შეცვალეს	14	0	2
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	ს	ცსკა 2:1	0	ტრავმირებულია	3	0	2
მიხეილ აშვეთია	რუბინი	ს	სპარტაკი 0:3	59	შეცვალეს	13	0	9
გიორგი ქინქლაძე	რუბინი	ს	სპარტაკი 0:3	0	ტრავმირებულია	4	0	9
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	ს	სპარტაკი 0:3	0	სათადარიგო	10	0	9
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	ს	სპარტაკი 0:3	0	სათადარიგო	2	0	9
ზურაბ არზიანი	რუბინი	ს	სპარტაკი 0:3	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	9
ბექა ულენტი	ტორპედო	ს	კრილია 0:2	0	ტრავმირებულია	0	0	15
დავით მუჯირი	კრილია	შ	ტორპედო 2:0	16	შეცვალეს	18	4	10
გიორგი ლომაია	ლუჩ-ენერგია	შ	ზენიტი 0:2	90		1	0	11
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	შ	მოსკვა 2:2	74	1 გოლი, გააძევეს	19	3	6
ალექსანდრე ჩიხრაძე	ნალჩიკი	შ	მოსკვა 2:2	90		21	0	6
ლევან გვაზავა	ნალჩიკი	შ	მოსკვა 2:2	0	სარეზერვო გუნდშია	17	2	6
ალეკო ამისულაშვილი	შინიკი	ს	ამკარი 0:1	90		10	1	16
ზურაბ მენთეშაშვილი	შინიკი	ს	ამკარი 0:1	90	გააფრთხილეს	7	0	16
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	ს	ვორსკლა 1:1	0	სათადარიგო	2	0	2
დავით იმედაშვილი	დინამო	ს	ვორსკლა 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	1	0	2
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	შ	მ. ზაპოროჟიე 1:0	28	შეცვლაზე ითამაშა	8	2	9
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	ს	მ. დონეცკი 0:1	70	შეცვალეს	6	0	15
დავით კვირკველია	მ. ზაპოროჟიე	ს	მ. დონეცკი 0:1	90		6	1	15
ლევან სილაგაძე	მ. ზაპოროჟიე	ს	მ. დონეცკი 0:1	0		0	0	15
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი	ს	ილიჩევეცი 0:0	90		5	0	10
კახა მჟავანაძე	ჩერნომორეცი	ს	ილიჩევეცი 0:0	0		5	0	10
გიორგი შაშიაშვილი	ჩერნომორეცი	ს	ილიჩევეცი 0:0	0		4	0	10
ვასილ გიგიაძე	კრივბასი	ს	მეტალისტი 0:0	87	შეცვალეს	8	6	8
ლადო ბურდული	კრივბასი	ს	მეტალისტი 0:0	90		8	1	8
კახა ალადაშვილი	დნიპრო	შ	შახტარი 1:1	0		3	0	6
ჯაბა კანკავა	არსენალი	შ	ზარია 2:2	90	გააფრთხილეს	7	2	3
ლაშა ჯაკობია	არსენალი	შ	ზარია 2:2	0	ტრავმირებულია	5	2	3
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	შ	ხარკოვი 4:2	90		6	0	14
სერგო ორბელაძე	ილიჩევეცი	შ	ჩერნომორეცი 0:0	0		1	0	11
საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა								
ლევან ცქიტიშვილი	პანიონიოსი	ს	კალამარია 1:1	4	შეცვლაზე ითამაშა	3	0	15
ლევან მაღრაძე	ქსანთი	შ	არისი 1:1	0		3	0	14
საბერძნეთი. მეორე ლიგა								
დავით ქოქიაშვილი	ეთნიკოსი	ს	პანტრაკიკოსი 1:2	45	შეცვალეს	2	0	12
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	ლკს	შ	გროცლინი 1:1	0		1	0	4
ბულგარეთი. უმაღლესი დივიზიონი								
ვლადიმერ კაკაშვილი	რილსკი	შ	ბოტევი 3:1	0		4	0	14
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ზაალ ელიავა	სკონტო	შ	დინაბურგი 0:2	0	ტრავმირებულია	12	0	3
დავით ჩალაძე	სკონტო	შ	დინაბურგი 0:2	0	განაცხადში არ იყო	2	0	3
ალექსანდრე რეხვიაშვილი	იურმალა	ს	ვენტსპილსი 0:1	90	გააფრთხილეს	9	0	5
ირაკლი ქორთუა	დიუვანაგი	შ	რიგა 0:0	90		4	0	8

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

გულისამრევი ამბავი

ინტერს ალბათ ჰაწას დაუჯარიმებენ, მეტი არაფერი

„ის აღშფოთებული და შეურაცხყოფილია? ეს მე და ჩემნაირი ადამიანები ვართ აღშფოთებულნი და შეურაცხყოფილნი, რადგან ამდენი ხანი გვატყუებდნენ. ჩვენ მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში აღშფოთებულებად და შეურაცხყოფილებად ვიგრძნობთ თავს“ — მძვინვარებდა „ინტერის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი.

„ნუთუ მას სინდისი აქვს, ასეთ რამეს რომ ამბობს? ვფიქრობ, ეს ნათქვამი მეტად სერიოზულია და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ კარგად აცნობიერებს, რამხელა ზარალს აყენებს ჩვენს კლუბს“ — მრისხანებაში არავის ჩამორჩებოდა „ინტერის“ მეპატრონე მასიმო მორატი. კი მაგრამ, ვინ გააბრაზა ასე ეს ღირსეული ხალხი? რა ხდება?

რა უნდა ხდებოდეს, იტალიაში კალჩოპოლის სკანდალი პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც გრძელდება. ისტორია არ დამთავრებულა და ვინ იცის, საბოლოოდ როდის მიეცემა დავიწყებას. ამჯერად ახალი ტალღა აზვირთდა. ვერ გეტყვით, ეს ტალღა რამდენბალიანია, მაგრამ პატარაც რომ იყოს, მაინც ტალღაა. კერძოდ კი, ასეთი ამბავია...

მასიმო დე სანტისმა, მსაჯმა, რომელსაც კალჩოპოლის სკანდალში მონაწილეობის გამო გასულ ზაფხულს ტრიბუნალმა ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ 2002 წელს „ინტერის“ დავალებით მას უთვალთვალებდნენ და უსმენდნენ.

აქ მოგახსენებთ, რომ აპენინებზე სკანდალია, რომელიც მარტო ფეხბურთს არ ეხება — გაირკვა, რომ „ტელეკომ იტალიას“ მეშვეობით წლების მანძილზე უამრავი სატელეფონო ზარი ისმინებოდა. მასიმო დე სანტისმა ამ ტალღაზე საფეხბურთო, კერძოდ კი, თავისი თემაც შემოაგდო.

„მასიმო მორატის ამ ოპერაციის შესახებ პირველად რომ გავიგე, თავი აღშფოთებულად და შეურაცხყოფილად ვიგრძენი. მეტიც, ჩემი განცდის აღსაწერად გაცილებით მკვახე სიტყვის მოძებნაც შეიძლებოდა. და დღეს მე ვისჯები იმისათვის, რაც არ ჩამიდენია. ვიცი რა, რომ სრულიად უდანაშაულო ვარ და მახსოვს რა, რაც გადამხდენია, გულისრევის გრძნობა მეძალება. რატომ მითვალთვალებდნენ? ვინ იცის, ალბათ შანტაჟს მიპირებდნენ“ — თქვა დე სანტისმა.

და მაინც, რას ამბობენ ამ თვალთვალის შესახებ? ამბობენ, თითქოს დე სანტისს კერძო დეტექტივი სდევდა. ამბობენ, თითქოს ეს დეტექტივი „ინტერის“ აწგარდაცვლილმა პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ დაიქირავა, ხოლო მას ყოფილმა მსაჯმა დანილო ნუჩინიმ ჩააწვეთა, რომ დე სანტისს ლუჩანო მოჯისთან აქვს საეჭვოდ კარგი ურთიერთობა.

იმასაც ამბობენ, რომ გამოძიება, რომელსაც ხსენებული კერძო დეტექტივი აწარმოებდა, შეწყდა, რადგან დეტექტივმა დაასკვნა, რომ დე სანტისის ცხოვრების წესში საეჭვოს ვერაფერს ხედავს.

თუ ეს ყველაფერი მართალი გამოდგება, „ინტერს“ სპორტული კოდექსის დარღვევისთვის ალბათ დაავჯარიმებენ, მაგრამ კალჩოპოლის სკანდალში დამნაშავეთა მსგავსად ქულების დაკლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ჰაპუნა კედია

ავარია

დარიო სილვა ფეხს კარგავს

ურუგვაელი დარიო სილვა კვირას მონტევიდეოში ავტოკატასტროფაში მოყვა და მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადგილობრივ ჰოსპიტალში გადაიყვანეს. „სევილიას“, „მალაგასა“ და „ესპანიოლის“ ყოფილი ფეხბურთელი კომაშია. ექიმთა განცხადებით, მდგომარეობა ძალიან მძიმეა და დარიომ შეიძლება მარცხენა ფეხი დაკარგოს.

ფეხბურთელი მონტევიდეოს ცენტრში, თავისი პიკაპით განათების ბოძს შეეჯახა. მასთან ერთად მანქანაში ელბიო პაპა და დარტო პერეირაც იყვნენ, თუმც მათ უმნიშვნელო ტრავმები მიიღეს.

დარიო სილვამ კარიერა მონტევიდეოს „პენიაროლში“ დაიწყო, სადაც 1994 წელს ურუგვაის ჩემპიონატის მთავარმეგოლე გახდა. ამით ევროპელი სელექციონერების ყურადღება მიიპყრო და იტალიურ „კალიარიში“ ერთსეზონიანი ბურთაობის შემდეგ ესპანურ კლუბებში, „ესპანიოლში“, „მალაგასა“ და „სევილიაში“ გამოდიოდა. მერე ინგლისურ „პორტსმუთშიც“ირიცხებოდა, ხოლო მისი ბოლო კლუბი არგენტინული სანტა ფეს „კოლონი“ გახლდათ. 34 წლის სილვას უეფას თასი და სამგზის ურუგვაის ჩემპიონობა მოუგია, მშობლიური ქვეყნის ნაკრებში კი 49 მატჩი გაუმართავს.

ლადო ხომერიკი

მილანურ-ჰოლანდიური რძალ-დედამთილიანი

ანჩელოტი ზეედორფზე მეტად ტელეკამერებზეა ნაწყენი

იტალიური პრესა აჭრელდა კარლო ანჩელოტისა და კლარენს ზეედორფს შორის მომხდარი შელაპარაკების განხილვით. შაბათ საღამოს „მილანმა“ „ლივორნოსთან“ სტუმრად შეხვედრაში პირველი ქულები დაკარგა. ზეედორფის თამაშით უკმაყოფილო როსონერის მწვრთნელისა და ჰოლანდიელის ეს შელაპარაკება მე-80 წუთისთვის მოხდა. ამბობენ, ზეედორფმა იტალიელს ბოთლი ესროლაო. შეგახსენებთ, რომ ამგვარი უსიამოვნება ცოტა ხნის წინ ანჩელოტის კაკასთანაც შეემთხვა.

აპენინური პრესის ცნობით, მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ბურთთან ერთად უფრო სწრაფად უნდა იმოძრავო და ითამაშო. ძალიან ნელი ხარ — უთხრა ანჩელოტიმ ზეედორფს.

— შენ საქმეს მიხედე. მხოლოდ კრიტიკით არ უნდა იყო დაკავებული. ყვირილის მაგივრად სათადარიგოთა სკამიდან უნდა გვეხმარებოდე — უპასუხა ჰოლანდიელმა.

— შენ კი თამაშზე იფიქრე. გიმართლებს, რომ გრძელი სათადარიგოთა სკამი არ მაქვს, თორემ საერთოდ არ ითამაშებდი — მიაძახა ანჩელოტიმ.

ეს ყველაფერი „მილანში“ არსებულ გარკვეულ დაძაბულობაზე მეტყველებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ ანჩელოტიმ მოგვიანებით ჟურნალისტებზე იყარა ჯავრი...

„გაბრაზებული და აღელვებული არ ვარ იმის გამო, რაც მოხდა. ეს ჩემსა და ზეედორფს შორის გასარჩევი ამბავი და ჩვენი საქმეა. ამის ახსნას არ ვაპირებ, რადგან თქვენ ისევ სერიალს შექმნით და გაამუქებთ, როგორც კაკას შემთხვევაში გააკეთეთ. გაბრაზებული თუ ვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ ტელეკამერები ყოველთვის ჩემს ცხვირწინ ტრიალებენ, რაც ნერვებს მიშლის“ — განაცხადა ანჩელოტიმ.

გიორგი კაკაბაძე

შოლას არამი



გვერდით მსაჯს რომ შეცდომა არ დაეშვა და ნიუკასლელი შოლა ამეობის გოლი არ ჩათვლილიყო, ახლა „ევერტონი“ მეორე ადგილზე იქნებოდა ცხრილში.

„ევერტონმა“ კი გაქვითა ნაღდი თამაშგარედან გატანილი ბურთი, მაგრამ ორი ქულა მოაკლდა. ტიმ კეჰილმა მხოლოდ ფრე გაუჩარხა დევიდ მოიესის გუნდს.

„ვცდილობ, მსაჯებზე არ ვილაპარაკო ხოლმე — თქვა მოიესმა — ჩვენ თამაშგარეს ვუკეთებდით და გამოგვივიდა, ამეობი ჩარჩა. რა უნდა ვქნა? გამიხარდეს? სტივ ბენეტმა კარგად იმსაჯა, მაგრამ გვერდით მსაჯი დიდად შეცდა“.

ირაკლი გამყრელიძე

ცოფიანი თამაში

ეტოო რაიკარდის დასაბმელი გახდა

„ვალენსიასთან“ თამაშის შემდეგ, არბიტრ არტურო დაუდენ იბანიესზე გაცოფებული სამუელ ეტოო მოედნის დატოვებას არ აპირებდა და მას მაგარ-მაგარი სიტყვებით ამკობდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, კატალონიელებმა იბანიესისგან პენალტი სამგზის მოითხოვეს და აქედან ორი ეპიზოდის მთავარმონაწილე სწორედ სამუელ ეტოო იყო. თანმიმდევრულად მივყვეთ: მეორე ტაიმის დასაწყისში, ვალენსიელთა მიგელი საჯარიმოში ეტოოს ბურთისთვის ებრძვის, რაც კამერუნელის მოედანზე წაქცევით მთავრდება. სამუელი პენალტს ითხოვს, თუმც არბიტრი არ ეთანხმება. შემდეგ, უკვე 90-ე წუთზე, მიგელმა უკვე აშკარად მოცელა ეტოო საჯარიმოში. გამწარებული აფრიკელი პენალტს და მიგელისთვის ბარათის ჩვენებას ერთდროულად ითხოვს, თუმცა არტურო დაუდენ იბანიესი, „კამპ ნოუს“ ინჩასთა გულის გასახეთქად, ჯარიმას არ აფიქსირებს. საფინალო სასტვენამდე წამით ადრე კი ბარსელონელები მსაჯთან იმაზე ჩივიან, რომ „ვალენსიას“ საჯარიმოში ედუმ ხელით ითამაშა... იბანიესმა კი მატჩი დაასრულა.

სამუელ ეტოო კვირას „კამპ ნოუზე“ „ბარსელონას“ მაისურით თავის საიუბილეო, მეასე შეხვედრას ატარებდა და უგოლოდ მოუწია მოედნიდან გასვლა. გაცხარებული შეგირდი ფრანკ რაიკარდმა დაამშვიდა. ვინც კატალონიურ არენაზე გამართული ჯახი იხილა, დაინახავდა, ჰოლანდიელი ხელგადახვეული როგორ მიარბენინებდა ეტოოს გასახდელის გვირაბისკენ.

„ღამურებთან“ ბრძოლას ლეგენდარული იოჰან კრუიფი დაესწრო. „ეტოო „ოქროს ბურთის“ მოსაპოვებლად ღირსეულად იბრძვის. იგი ამ ჯილდოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პრეტენდენტია“ — განაცხადა კრუიფმა ჟურნალისტებთან. შემდეგ დიდმა იოჰანმა ისიც აღნიშნა, „ვალენსიასთან“ ბურთაობა კარგი იყო, მაგრამ „რეალთან“ ჯახს სულ სხვა ელფერი აქვს და, დარწმუნებული იყავით, „ბარსა“ — „რეალის“ მორიგი ომი ჩვეულად გადასარევი იქნებაო.

არგენტინელ „ბაჭიას“, ხავიერ საviოლას კი 24 სექტემბერს გამორჩეული დღე ჰქონდა. კვირას მან „ბარსელონას“ ფორმით, 854-დღიანი შესვენების შემდეგ ოფიციალურ მატჩში პირველად მიიღო მონაწილეობა. ბოლოს 2004 წლის 23 მაისს მოირგო „ბაჭიამ“ კატალონიური გრანდის ფორმა და „სარაგოსას“ გოლი გაუტანა „ლა რომარედაზე“. მაშინ „ბარსელონამ“ 1:2 წააგო არაგონელებთან. ინჩასების მხურვალე მხარდაჭერით გამხნევებულ საviოლას გატანა „ვალენსიასთანაც“ შეეძლო, თუმცა მისი სახიფათო დარტყმა სანტიაგო კანისარესმა მოიგერია. „მოხარული ვარ, რომ კვლავ „კამპ ნოუზე“ ვითამაშე. გულშემატკივართა თბილმა დახვედრამ ძალიან ემოციურად განმაწყო“ — განაცხადა „ბაჭიამ“ თამაშის შემდეგ. პატაგონიელს „ბარსასთან“ კონტრაქტით კიდევ ერთი წელი უწევს თანამშრომლობა და მანაც ოჯარით სადმე გადაბარგებას, ამ ვადის „კამპ ნოუზე“ გატარება არჩია.

1:1 დასრულებული ტიტანთა ჯახის მერე მედიის წარმომადგენლებთან თავიანთი აზრი კლუბების პრეზიდენტებმაც გამოთქვეს. „შესანიშნავი მატჩი იყო. „ვალენსია“ ერთ-ერთი საუკეთესო მეტოქე გახლდათ იმ გუნდებს შორის, რომლებიც ბოლო პერიოდის განმავლობაში „კამპ ნოუზე“ ჩამოსულან. სავარაუდოდ, ეს კლუბი საამსეზონო ესპანურ პრიმერაში ჩვენი მთავარი მეტოქე იქნება“ — განაცხადა „ბარსელონას“ თავკაცმა ხუან ლაპორტამ. „ბარსა“ ბრწყინვალე იყო. თუმცა ვთვლი, რომ არ გაგვიმართლა, ის მეორე ბურთი რაღაც სასწაულით ვერ გავიტანეთ... 0:2-ზე პრაქტიკულად თამაშის ბედს გადავწყვეტდით“ — აღნიშნა „ღამურათა“ პრეზიდენტმა ხუან სოლერმა.

„ვალენსიას“ მწვრთნელმა კიკე სანჩეს ფლორესმა შეაქო: „ბარსას“ შეუძლია, მოწინააღმდეგეს გამანადგურებელი ტემპი შესთავაზოს. განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მოედანზე ანდრეს ინიესტას შემოსვლის შემდეგ გაგვიჭირდა, თუმცა, მასპინძელთა შტურმს მაინც გავუძელით... წლეულს „ვალენსია“ შარმანდელზე უფრო ძლიერია“. კიკეს შეგირდმა დავიდ ალბელდამ კი მედიასთან ამაყად განაცხადა, უკვე მეექვსე წელია, რაც „კამპ ნოუს“ დაუმარცხებლად ვტოვებო.

„თუ „ვალენსიას“ წინააღმდეგ თამაშობ, მატჩის ყველა უმნიშვნელო დეტალს უზარმაზარი ყურადღება უნდა მიაქციო. ასეთი მატჩის ბედი შეიძლება მცირე შეცდომამაც გადაწყვიტოს. წლეულს პრიმერას ჩემპიონობაზე, „ვალენსიას“ სახით სახიფათო მოცილე გვყავს“ — თქვა „ბარსას“ მწვრთნელმა რაიკარდმა.

ლადო ხომერიკი

ბაბაიაროც დასვეს

ნიუკასლელ სელესტინ ბაბაიაროს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუტანეს. მიზეზი, შუა კვირის მატჩში ლივერპულელი დირკ კუიტი ბაბაიარომ მსაჯ მარკ ჰალსის დაუნახავად მიაიდაყვა. სხვათა შორის, ის შარშანაც მსგავსი რამისთვის დისაჯა. „ნიუკასლისთვის“ კი ნიგერიელი კიდევ ერთი საძირითადო დანაკლისია ტრავმირებული მეკარის შეი გივენის შემდეგ.

ახლა შეი უკეთ ყოფილა, თუმც, კარში მის დაბრუნებას ექვსი კვირა მაინც დასჭირდება. ბაბაიაროს ადგილს დაცვის მარცხენა ფლანგზე კი პიტერ რემიჯი დაიჭერს, თუმცა, ამ უკანასკნელმა ბოლო ორი მატჩი დაცვის ცენტრში გაატარა.

ირაკლი გამყრელიძე

კაპელო მარცხნიდან ოდონკორმა შეაშინა

შაბათს მადრიდის „რეალი“ ხავიერ ირურეტას „ბეტისს“ ესტუმრა და ახალწვეული მაჰამადუ დიარას გოლით 1:0 დაამარცხა. მატჩის შემდეგ სამეფო თეთრების მწვრთნელ ფაბიო კაპელოს „ასი“ გაესაუბრა

— „ბეტისთან“ სამი ქულა იოლად მოიპოვეთ?

— არა, ირურეტას ძლიერი გუნდი ჰყავს. ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ვაღიარებ, რომ ბოლო თხუთმეტი წუთი ჩვენთვის საკმაოდ რთული გახლდათ. ძირითადი საფრთხე მარცხენა ფლანგიდან დაგვემუქრა, მას შემდეგ, რაც მოედანზე ოდონკორი შემოიყვანეს. თუმცა, ჩვენც შესანიშნავად ვითამაშეთ.

— მეორე გოლიც რომ გაგეტანათ უფრო თავდაჯერებულები იქნებოდით...

— ნამდვილად შეგვეძლო იმ გოლის შეგდება. ვთქვი, რომ „ბეტისი“ ძლიერია, თუმცა „რეალი“ სულ სხვა სიმაღლეა და ნამდვილად ვერ დავუშვებდით, ანდალუზიელებს ჩვენთვის მოგების სიხარული წაეხდინათ. მეტოქეს მხოლოდ ერთხელ, კუთხურის მოწოდებისას შეეძლო ანგარიში გაეთანაბრებინა.

— გასულ თამაშებთან შედარებით „რეალი“ გაცილებით სოლიდურად გამოიყურებოდა. გუტიმაც კარგად იბურთავა...

— გუტის დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია. თუ მას მოედანზე შესაფერის ადგილს მოუძებნით, ბრწყინვალე მობურთალად მოგვეელინება. საერთოდ კი ყველამ ტექნიკურად და კარგად ითამაშა, ჩვეულზე გაცილებით კარგად...

— დიარას შესახებ რას ფიქრობთ?

— გუნდის მექანიზმში კარგად ჩაჯდა. პრეზიდენტ კალდერონისთვის ტყუილად არ მითხოვია „ლიონიდან“ მისი გადმოყვანა.

— სისინიომ მძიმე ტრავმა მიიღო...

— ვნახოთ, ექიმები რას იტყვიან.

— გუნდს აშკარა გაუმჯობესება დაეტყო. ადრე განაცხადეთ, რომ ამისთვის 50 დღე გჭირდებოდათ...

— „რ ლ“ თავის თამაშს კიდევ უფრო გაუმჯობესებს. რამდენიმე ხანში კლუბში უფრო მეტ დისციპლინას და საქმისადმი ერთგულ დამოკიდებულებას შეამჩნევთ. ჩემი სიტყვების სიმართლეში, მომავალი რამდენიმე მატჩის დროს დარწმუნდებით.

სისინიოს ზმუსთლა

„ბეტისთან“ შეხვედრაში მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელმა მცველმა სისინიომ მძიმე ტრავმა მიიღო. ოკეანისგაღმელი „რუის დე ლოპერადან“ თამაშის 31-ე წუთზე საკაცით გაიყვანეს. „რეალის“ ექიმ ხუან ერნანდესის თქმით, სისინიოს მარჯვენა მუხლის მყესები უნდა ჰქონდეს გაწყვეტილი. ბრაზილიელს მადრიდში სპეციალურ სამედიცინო შემოწმებას ჩაუტარებენ და თუ დოქტორი ერნანდესის ვარაუდი დადასტურდა, „სანტიაგო ბერნაბეუს“ უკანახაზელს რამდენიმე თვით ბურთის და მოედნის გარეშე დარჩენა მოუწევს.

მადრიდში კი უკვე ახალი მცველის შეძენაზე საუბრობენ. რეგლამენტის მიხედვით, კლუბს „ბერნაბეუზე“ ახალწვეულის მოყვანა იანვრის სატრანსფერო ფანჯრამდეც შეუძლია. სისინიოს ადგილზე მიჩელ სალგადო რჩება, რომელმაც თავის მხრივ რთული ტრავმა ახლახან მოირჩინა. ახლა ყველაფერი სისინიოს სამედიცინო შემოწმებაზეა დამოკიდებული. თუ ექიმები ბრაზილიელს უნუგეშო დიაგნოზს დაუსვამენ, ვფიქრობთ, სამეფო თეთრები „ბერნაბეუზე“ ახალი ფეხბურთელის მიყვანას არ დააყოვნებენ.

ლადო ხომერიკი

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დღეს

E ჯგუფი

სტიაუა — ლიონი

ლიონს გენჩა გაუმზადეს

რებროვი (მარცხნივ) კიევის „დინამოს“ ვერ დაუხმარება

რეალი — დინამო

რეალი — დინამო

ჯგუფის მთავარი მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზეა“, სადაც ერთმანეთს პირველ ტურში დამარცხებულები, „რეალი“ და კიევის „დინამო“ ხვდებიან. მადრიდელებს ერთი ნაბიჯი აკლიათ ევროსარბიელზე ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგის დაფიქსირებამდე. „სამეფო გუნდს“ ჩემპიონთა ლიგაში ხუთი მატჩია, არ მოუგია, ხოლო სამ შეხვედრაში უგოლოდაც დარჩა. თუმცა ძნელი სავარაუდოა, „რეალმა“ ცუდ ფორმაში მყოფი „დინამოს“ დამარცხება ვერ შეძლოს. მითუმეტეს, რომ კიეველებს ტრავმების გამო სერგეი რებროვი, რუსლან როტანი და ვლადისლავ ვაშჩუკი დააკლდებიან. მასპინძლებს კი ორი ბრაზილიელი არ ეყოლებათ — სისინიო და რონალდო.

ეს კლუბები ერთმანეთს რვაჯერ შეხვედრიან. აქედან „რეალმა“ სამი მოიგო და ერთი წააგო, ხოლო ოთხი მატჩი ფრედ დასრულდა. მადრიდელებს ჩემპიონთა ლიგაში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბოლო 18 თამაშიდან მხოლოდ ერთი წაუგიათ, გასულ სეზონში „არსენალთან“ (0:1).

„დინამომ“ ჩემპიონთა ლიგაში ბოლო 16 საგარეო მატჩიდან ოდენ ერთი მოიგო — ორი სეზონის წინ იტალიურ „რომასთან“. ესპანურ გუნდებთან უკანასკნელი ექვსი შეხვედრიდან კი კიეველებს ერთხელაც არ უხეირიათ.

ფაბიო კაპელო ერთი გამოკვეთილი ფორვარდით, რუუდ ვან ნისტელროოით აპირებს თამაშს. მას ანტონიო კასანო ან რაული დაეხმარება. იქვე იქნება ხოსე ანტონიო რეიესიც. კიეველთა თავდასხმაში დიეგო რინკონის მეწყვილე, დაშავებული სერგეი რებროვის ნაცვლად, მაქსიმ შაცკიხი იქნება.

„ძალიან არ მომწონს ჩვენი თამაში. ისე ჩანს, თითქოს ჩვენს მეტოქეებს უფრო მეტად უნდათ მოგება, ასე კი წარმატებას ვერ მივაღწევთ. თუმცა ბიჭებს უკვე ველაპარაკე, შეცდომები გავაანალიზეთ და „რეალთან“ სათამაშოდ მზად ვართ“ — თქვა „დინამოს“ მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ.

სტიაუა — ლიონი

ბუქარესტის „სტიაუა“ თავის განახლებულ სტადიონ „გენჩაზე“ პირველ მატჩს გამართავს და ქომაგებიც ამას დიდი აჟიოტაჟით ელიან. რუმინელები ჩემპიონთა ლიგას ათწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდნენ და შთამბეჭდავადაც, კიევში „დინამო“ 4:1 გაანადგურეს. თუმც „სტიაუასთვის“ ბევრი რამ სწორედ დღეს „ლიონთან“ მატჩში გადაწყდება.

ბუქარესტელებმა ევროსარბიელზე ბოლო ხუთ საშინაო მატჩში ოდენ ერთი გოლი გაუშვეს, ხოლო ფრანგულ კლუბებს შინ უკანასკნელი ოთხი შეხვედრა ისე მოუგეს, რომ კარი მშრალად შეინახეს.

ჟერარ ულიეს „ლიონი“ ჩემპიონთა ლიგაში 56-ე მატჩს ატარებს და საიუბილეო მეასე გოლამდე ერთი ბურთი აკლია. „ჟირლანის“ ბინადრები რუმინულ კლუბს აქამდე ერთხელ შეხვედრიან. 1997 წელს „ლიონმა“ ბუქარესტის „რაპიდი“ ინტერტოტოს თასიდან გამოთიშა.

ორივე გუნდი მატჩს, ფაქტობრივად, უდანაკარგოდ ხვდება და მოსაგებად თამაშს აპირებს.

„სეზონი კარგად დავიწყეთ. ნელ-ნელა ვუმატებთ და, რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი მოგება იქნება. თუმცა „სტიაუა“ ძლიერი გუნდია და მძიმე ბრძოლა გველის“ — თქვა ულიემ.

გიორგი კაკაბაძე

F ჯგუფი

ბენფიკა — მანჩესტერი

ბენფიკა — მანჩესტერი

რა მოხდა შარშან 7 დეკემბერს? ლისაბონში „ბენფიკამ“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 2:1 მოუგო და ალექს ფერგიუსონის გუნდი 1995 წლის შემდეგ პირველად ჩატოვა ჯგუფში. სტუმრები პოლ სქოულზის გოლით იგებდნენ, მაგრამ ჯოვანიმ და ბეტომ ლისაბონელები დააწინაურეს. მართალია, ახლა საქმე ჯგუფიდან გასვლას არ ეხება, მაგრამ ცხადია, რომ ფერგიუსონს რევანში სწყურია. მოახერხებს თუ არა, ეს უკვე დღეს გამოჩნდება.

შარშან „ბენფიკას“ მწვრთნელი რონალდ კუმანი იყო. მან მერვედფინალიდან მეორე ინგლისური გუნდი, ჩემპიონთა თასის მფლობელი „ლივერპულიც“ დაიფრინა, მეოთხედფინალში კი „ბარსელონასთან“ წააგო, რომელიც გახდა კიდეც 2005-2006 წლების ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული.

ზაფხულში კუმანი ფერნანდუ სანტუშმა შეცვალა და მის ხელში „არწივები“ ჯერჯერობით მაღლა ვერ დაფრინავენ. პორტუგალიის ჩემპიონატში სამი მატჩიდან ერთი მოიგეს, ერთი (გასულ შაბათს) სტუმრად „ფერეირასთან“ ფრედ დაასრულეს და ერთიც წააგეს. შედეგად მე-11 ადგილზეა ორი გატანილი და ოთხი გაშვებულით.

ჩემპიონთა ლიგის მატჩებში „ბენფიკამ“ ბოლო შვიდიდან ხუთში კარი მშრალად შეინახა, თუმც ასევე ბოლო სამში თავადაც ვერ გაიტანა. ინგლისურ კლუბებთან კი ბოლო შვიდიდან მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ სეზონი საუცხოოდ დაიწყო — ოთხიდან ოთხი თამაშის მოგება უბრალო ამბავი არაა. ამას ჩემპიონთა ლიგაში „სელტიკის“ ძლევასაც თუ დავურთავთ, ხუთი გამოვა, მაგრამ მეხუთე ტურში „არსენალი“ ჩავიდა მანჩესტერში და პრემიერლიგის ლიდერი 1:0 დაამარცხა. გასულ უქმეებზე კი „მანჩესტერმა“ რედინგში

დეკემბერი სექტემბერში

ფერგიუსონს ლისაბონი ყელში გაეჩხირა

შარშანდელი „ბენფიკა“ — „მანჩესტერი“: სქოულზი და ნელსონი

ვერ მოიგო და კიდევ ორი ქულა დაკარგა. რა დაემართა ფერგიუსონის გუნდს ასე უცბად? „არსენალამდე“ სამ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო სქოულზი და რუნი აკლდა, მაგრამ სამივე მოიგო, სქოულზ-რუნიანად კი თითქოს აირია, ნაცვლად იმისა, რომ უფრო გაძლიერებულიყო. ფერგიუსონი მაინც იმედიანადაა და „რედინგთან“ შეხვედრის შემდეგ თქვა, უეინ რუნი ფორმაში შედისო. დღევანდელ „ბენფიკასა“ და „მანჩესტერს“ თუ შევადარებთ, ინგლისელებს გაცილებით უკეთესი გუნდი ჰყავთ, მაგრამ შარშანაც არანაკლები ჰყავდათ, როცა ლისაბონში წააგეს, ამიტომ „ეშტადიუ და ლუჟზე“ ალბათ მძიმე თამაში იქნება. „მანჩესტერს“ ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად უკვე რვა მატჩი არ მოუგია და აქედან ხუთში გოლის გატანაც ვერ მოახერხა.

სელტიკი — კოპენჰაგენი

სელტიკი — კოპენჰაგენი

გლაზგოელმა „თეთრ-მწვანეებმა“ ჩემპიონთა ლიგაში საკუთარ მოედანზე ბოლოს 2004 წლის დეკემბერში „მილანთან“ ითამაშეს. მატჩი უგოლოდ დასრულდა და „სელტიკის“ იმ შემადგენლობიდან გუნდში ახლა მხოლოდ ხუთი ფეხბურთელია: დიანბობო ბალდე, ნილ ლენონი, შონ მელონი, დევიდ მარშალი და ალან ტომპსონი.

სელტიკელები ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტ „კოპენჰაგენს“ მასპინძლობენ, რომლებმაც პირველ ტურში შინ „ბენფიკასთან“ ფრე ითამაშეს და ცხრილში გლაზგოელებზე მაღლა არიან, რადგან „თეთრ-მწვანეებმა“ პირველი შეხვედრა „მანჩესტერთან“ 2:3 წააგეს. ეს იყო დრამატული მატჩი, რომელშიც „სელტიკი“ თავიდან იგებდა კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდა.

გორდონ სტრაჩანის შეგირდები შოტლანდიის ჩემპიონატს ლიდერობენ. გასულ უქმეებზე „რეინჯერსს“ 2:0 მოუგეს და ალბათ „კოპენჰაგენის“ ძლევასაც მოახერხებენ. თომას გრავესენით და იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკით გაძლიერებული სელტიკელები ამ სეზონში შარშანდელზე უკეთ თამაშობენ.

ჩემპიონთა ლიგის ბოლო ცხრა საშინაო მატჩიდან „თეთრ-მწვანეებმა“ მხოლოდ ერთხელ წააგეს და ხუთში გოლი არ გაუშვიათ. დანიურ კლუბებთან დადებითი ბალანსი აქვთ — ექვსიდან ხუთი მოიგეს და ერთხელ დაუზავდნენ.

რაც შეეხება „კოპენჰაგენს“, ევროთასებზე ბოლო ცხრა შეხვედრაში არ წაუგია. მათ შორის სამი წლის წინ გლაზგოში „რეინჯერსთან“ 1:1 ითამაშეს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში.

ირაკლი ნინიძე

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დღეს

G ჯგუფი

ცსკა — ჰამბურგი

მოსკოვში საშას გარეშე

გაზაევმა ცხრილზე თვალი დახუჭა

არსენალი — პორტუ

ლონდონის „არსენალი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თავის ახალ სტადიონზე, „ემირატ სტედიუმზე“, პირველ მატჩს გამართავს და მის მოგებას ყველანაირად ეცდება. მით უმეტეს, რომ დამატებითი მოტივაციაც აქვს, არსენ ვენგერის ერთგვარი იუბილეა. უკვე ათი წელია, რაც ფრანგი სპეციალისტი „მეთოფეებს“ უდგას სათავეში.

ჩემპიონთა ლიგაში „არსენალს“ ათი საშინაო მატჩია, არ წაუგია, ბოლო ხუთში კი გოლიც არ გაუშვია, ხოლო „პორტუმ“ უკანასკნელი შვიდი საგარეო შეხვედრიდან 5 წააგო, ერთი მოიგო და ერთიც ფრედ დაასრულა. ინგლისში რვა ვიზიტიდან კი „დრაკონებს“ შვიდი მარცხი და ერთადერთი ფრე აქვთ.

„არსენალის“ შემადგენლობა, ალბათ, ისეთივე იქნება, რომლითაც „მეთოფეებმა“ გასულ შაბათს „შეფილდს“ მოუგეს 3:0. ვენგერის გუნდმა სეზონი ცოტა მძიმედ დაიწყო, მაგრამ ნელ-ნელა ფორმაში შედის. „პორტუმ“ გასულ პარასკევს ასევე 3:0 დაამარცხა „ბეირა მარი“ და ჩემპიონატს ოთხი მატჩიდან ოთხი მოგებით ლიდერობს. „დრაკონებს“ კაპიტანი პედრო ემანუელი დააკლდებათ, სამაგიეროდ, ტრავმა მოიშუშა რაულ მეირლესმა.

„გუნდი მზად არის. „არსენალთან“ მატჩს კარგი განწყობით ვხვდებით და რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავაკეთებთ წარმატების მისაღწევად“ — თქვა „პორტუს“ მწვრთნელმა ჟესუალდო ფერეირამ.

ცსკა — ჰამბურგი

მოსკოვის ცსკა-ს ბოლო 6 საშინაო მატჩიდან ოდენ ერთი მოუგია. გერმანულ კლუბებთან კი სულაც არასდროს უთამაშია, ხოლო „ჰამბურგი“ რუსულ გუნდს აქამდე ერთხელ გადაეყარა. 1996 წელს უეფას თასის მეორე ეტაპზე ფელიქს მაგათის თავკაცობით ჰამბურგელებმა შინ 3:0 მოუგეს „სპარტაკს“, მოსკოვური შეხვედრა კი 2:2 დასრულდა.

რუსეთის ჩემპიონატის დასრულებამდე 9 ტურია დარჩენილი და ამჟამად ცსკა ცხრილის სათავეშია, თუმცა გასულ უქმეებზე არმიელები დედაქალაქურ დერბიში „ლოკომოტივთან“ დამარცხდნენ და ახლა მხოლოდ ქულით უსწრებენ რკინიგზელებს, „სპარტაკს“ კი — ორით.

„ჰამბურგისთვის“ სეზონი მძიმედ დაიწყო. თომას დოლის შეგირდებს ბუნდესლიგის პირველ 5 ტურში მოგება არ აქვთ. ისინი 4 ფრით და ერთი წაგებით მე-14 ადგილზე არიან.

„ის, რომ „ჰამბურგი“ ახლა ბუნდესლიგაში ერთ-ერთი აუტსაიდერია, მის სისუსტეზე არ მეტყველებს. 5 მატჩიდან გუნდს მხოლოდ ერთი წაგება აქვს. მართალია, „ბაიერნმა“ გაანადგურა „სპარტაკი“, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა რუსული კლუბი ასე ცუდად ითამაშებს გერმანულთან. რაც შეეხება ჩვენს წაგებას „ლოკომოტივთან“, ამას ჩემპიონთა ლიგასთან არანაირი კავშირი არ აქვს და საბრძოლველად მზად ვართ“ — აღნიშნა არმიელთა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა.

ცსკა მეტოქეს, ფაქტობრივად, უდანაკარგოდ ხვდება, „ჰამბურგს“ კი „არსენალთან“ გაძევებული მეკარე საშა კირშტაინი არ ეყოლება.

კოკი კანდელაკი

არსენალი — პორტუ

„ჰამბურგს“ მეკარე კირშტაინი დააკლდება

H ჯგუფი

ლილი — მილანი

კლოდ პუელის „ლილმა“ ტონი სილვას გარეშე ორ მატჩში შვიდი გოლი გაუშვა

მილანისთვის ლილი ლანსია, ლილისთვის მილანი — შანსი

ლილი — მილანი

ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშებაში „ლილმა“ ექვს შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მილენკო აჩიმოვიჩის გოლით ფრანგულმა გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ 1:0 მოუგო. იმ გათამაშებაში „ლილის“ პოზიტივად კიდევ ორი უგოლო ფრე შეიძლება მივიჩნიოთ, წლეულს კი კლოდ პუელის შეგირდებმა, ეტყობა, მეტი ამბიციის გამოვლენა გადაწყვიტეს და პირველ ტურში, ბრიუსელში, „ანდერლეხტთან“ უკვე გოლიანი ფრე ითამაშეს — „კონსტანტ ვანდენსტოკზე“ ნიკოლა ფოვერჟმა შეაგდო. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ დღეს ლილში „მილანს“ შესაძლოა გაუჭირდეს, თუმცა თვალს ნურც იმას დავუხუჭავთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში მილანელთა მასპინძელმა „ლიონთან“ 1:4 წააგო და საერთოდაც, ბოლო ორ ტურში შვიდი გაუშვა. შეგახსენებთ კიდევ ერთს — „ლილი“ ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩებს „ლანსის“ მშობლიურ „ფელიქს ბოლერზე“ მართავს.

„შარშან ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დავამარცხეთ, ასე რომ, შეუძლებელი არაფერია... რაც შეეხება შიდა ჩემპიონატში წაგებას, ამის მერე ჩემპიონთა ლიგაში თამაში პირიქით, კარგიც კია — ამბობს მცველი მატიე შალმი და დასძენს — სექტემბერი ჩვენთვის კატასტროფული გამოდგა, ასე რომ, ჩვენ თავის გადასარჩენი თამაში გვჭირდება. „მილანის“ შემდეგ ისევ შინ ვთამაშობთ, აეკთან და ამ ორ შეხვედრაში ოთხი ქულა რომ ავიღოთ, დიდებული იქნება.“

„მილანთან“ შეხვედრაში „ლილს“ არ ეყოლება სენეგალელი მეკარე ტონი სილვა, სამაგიეროდ, მოედანს დაუბრუნდებიან „ლიონთან“ დასვენებული მცველები, გრეგორი ტაფორო და მიშელ ბასტოსი.

„მილანი“ კი საფრანგეთს სერია A-ში, ლივორნოში ნათამაშები 0:0-ის შემდეგ ჩადის. ამბობენ, რომ ამ შეხვედრის დროს მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ და ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა ერთმანეთს მწარეები მიაძახეს და კიდევ, დაშავდა პაოლო მალდინი, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ეს ყველაფერი „ლილთან“ თამაშის წინ ბევრს არაფერს ნიშნავს.

აეკ — ანდერლეხტი

ბერძნულ კლუბს ჩემპიონთა ლიგაში — შესარჩევ ეტაპზე არ არის საუბარი — ერთხელაც არ მოუგია, არადა, დღეს უკვე მეოცედ გადის მოედანზე ამ შეჯიბრების ფარგლებში. ამჯერად მისი მოწინააღმდეგე დიდ გუნდთა კატეგორიას არ განეკუთვნება. ასე რომ, ათენელები, ეჭვი არ არის, საღამოს დიდი იმედით ელიან. ამასთან, აეკი შინ ცუდად არ თამაშობს, თუ ვერ იგებს, მეტწილად არც აგებს — ბოლო ექვს შეხვედრაში მეტოქეს სამი ქულა მხოლოდ ერთხელ გაატანა.

თუმცა, მიმდინარე გათამაშება ბერძნებმა ცუდად დაიწყეს, „სან სიროზე“ „მილანთან“ წააგეს 0:3. მათი საერთო ლიგური სტატისტიკა ასეთია: ათი ფრე და ცხრა წაგება. ამასთან აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ათი ფრიდან ორი სწორედ ბელგიურ კლუბთან არის მოპოვებული — „გენკმა“ და აეკმა ბელგიაში 0:0 ითამაშეს, ხოლო ათენში — 1:1.

„გენკის“ გარდა, აეკს „სტანდარდთანაც“ უთამაშია, ოღონდ ეს 25 წლის წინ იყო და თან უეფას თასზე. „ნიკოს გუმასზე“ შეხვედრა 2:2 დასრულდა, ლიეჟში კი მასპინძლებმა 4:1 იძალეს.

„ანდერლეხტს“, თავის მხრივ, ბერძნებთან სამჯერ უთამაშიათ — ორჯერ „პანათანაიკოსთან“ და ერთხელ „ოლიმპიაკოსთან“. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრების ანგარიშთა შორის არის ორჯერ 0:3, 5:1 და 2:0. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ვინძლო დღეს გოლებიან შეხვედრას უნდა ველოდეთ.

პაპუნა კედია

ვგიჟდები შენ დანახვაზე!

პარიზული ვიკაშ-კოშმარის ამბავი

ფრანგი ნახევარმცველი, სამფეროვან ნაკრებში და ცნობილ ევროპულ კლუბებში ნათამაშები ვიკაშ დორასო, ბოლო ხანია, „პარი სენ ჟერმენის“ ძირითადში აღარ ჩანს. ამის მიზეზად, ოფიციალურად, მისი ცუდი ფიზიკური ფორმა და კონკურენციის ,ვერგაძლება მოჰყავდათ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ყველაფერი მთლად ასე არ არის. ნახევარმცვლმა, რომელმაც წინა სეზონში საფრანგეთის თასის ფინალში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, „ეკიპის“ კორესპონდენტს უამბო, თუ რატომ არ ათამაშა მწვრთნელმა გი ლაკომბმა ბოლო ოთხ შეხვედრაში, რატომ გადატყორცნა რეზერვისტთა გუნდში და რატომ და როგორ დაიგვიანა თავად ვარჯიშზე...

„ძალიან უცნაური კვირა გადავიტანე — გვიამბობს დორასო „ეკიპის“ ფურცლებიდან — მონაკოში იმიტომ არ წამიყვანეს, რომ რეზერვისტთა გუნდის ვარჯიშზე დავიგვიანე. სხვათა შორის, ჩემმა თანაგუნდელმა დიანმა დერიში (უეფას თასის მატჩზე) გამგზავრების დღეს კლუბში მოსვლა ორი საათით დაგვიანა და არაფერი. შემდეგ, „ლორიანთან“ შეხვედრის წინ, ექიმმა გამსინჯა და მითხრა, რომ თამაში შემიძლია, მწვრთნელმა კი პრესასთან იცრუა, დორასო დაშავებულიაო. სინამდვილეში, აი, რა მოხდა: როდესაც ლაკომბმა მოედანზე დამინახა, ვარჯიშის ჩატარებაც კი იუარა, გატრიალდა და წავიდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა. მერე, ვინაიდან ბიჭები ჩემპიონატის თამაშისთვის ემზადებოდნენ, გადავწყვიტე ხელი არ შემეშალა და ისევ მე გავეცალე. იცით, ვარჯიშიდან გაშვება მესმის და ამას არ ვაპროტესტებ, მაგრამ ჩემ დანახვაზე რატომ უნდა გაგიჟდე, ვერ გამიგია.“

„მილანის“ ყოფილი ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ „პარი სენ ჟერმენიდან“ წასვლა არ მოუწევს და თავის ოსტატობას „პარკ დე პრენსზე“ დაამტკიცებს.

„სრულიად გაწბილებული ვარ. ვერ გამიგია, რეზერვისტთა გუნდში თამაშისთვის ამდენს რატომ მიხდიან. წასვლაზე ჯობს, არაფერი მითხრან, კონტრაქტის ამოწურვამდე „პარი სენ ჟერმენის“ ფეხბურთელი ვიქნები. ერთადერთი, რასაც ვითხოვ, კორექტული მოპყრობაა.“

და როგორ გგონიათ, რას ამბობს ამ ყველაფერზე გი ლაკომბი? ნუ გაგიკვირდებათ და, ის ძველებურად განაგრძობს ისე მოქცევას, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდეს ან... პირიქით, ის არის მართალი, ხოლო დორასო ყველაფერს იგონებს.

„ვიკაში რეზერვისტთა გუნდში მარტო არ არის. ყველა, ვინც ცუდ ფორმაშია, იქ მოემზადება. მასაც მოთმინება და მუშაობა მართებს, მეტი არაფერი. ეჭვი არ მეპარება, ჭკვიანი ადამიანია და კარგად იცის, რატომ არ ვათამაშებ ძირითადში. მასთან ამაზე დაწვრილებით საუბარს არ ვაპირებ, ხოლო, რაც შეეხება კონფლიქტს, მსგავსი არაფერია. ვიკაშთან პრობლემა არ მაქვს. მას, უბრალოდ, როგორც ჩანს, წესებზე თავისებური შეხედულება აქვს.“

პაპუნა კედია

ზამთარში სიტყვა, ზაფხულში საქმე

ბაიერნმა რიბერი ხელახლა ამოქექა

მიუნხენის „ბაიერნი“ სერიოზულადაა დაინტერესებული ფრანკ რიბერით. 23 წლის ფრანგმა, რომელსაც „რეალი“, „არსენალი“ და „ლიონი“ უტრიალებდნენ, განაცხადა, „მარსელში“ თავს კარგად ვგრძნობ და ახლო მომავალში არსად წასვლას არ ვაპირებო, მაგრამ გერმანულ პრესას სხვა ინფორმაცია აქვს.

ამბობენ, „ბაიერნი“ იანვარში რიბერისთან და „მარსელთან“ სიტყვიერად შეთანხმებას ეცდება, მომავალ ზაფხულს კი ტრანსფერს ბოლომდე მიიყვანსო. ფრანგისადმი მიუნხენელთა ინტერესი გუნდის თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგემაც დაადასტურა. ნიჭიერი ნახევარმცველის ფასი 17-20 მილიონი ევროა.

„ბაიერნის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი ლუკაშ პოდოლსკი კი ამბობს, რომ ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც მას ეგონა, მაგრამ ქომაგებს კარგ თამაშს ჰპირდება. 21 წლის ფორვარდი ათი დღის წინ „არმინიასთან“ წაგებულ მატჩში ძალიან ინერტული იყო და ფელიქს მაგათმაც ბუნდესლიგის გასულ ტურში სათადარიგოთა სკამზე დასვა. მის ნაცვლად როი მაკაიმ ითამაშა, ხოლო „ბაიერნმა“ კლაუდიო პიზაროსა და მარკ ვან ბომელის გოლებით მოუგო „ალემანიას“.

„ყველაფერი ისე არ არის, როგორც მე წარმომედგინა. რასაკვირველია, მწყინს, რომ არ მათამაშეს და ვფიქრობ, ეს ფეხბურთელის ბუნებრივი რეაქციაა. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არავის უნდა, თუმცა ჩემი დრო მოვა და „ბაიერნის“ მაისურით გოლებს გავიტან. კონკურენცია არ მაშინებს“ — თქვა პოდოლსკიმ.

შეგახსენებთ, რომ პოლონური წარმოშობის თავდამსხმელი „ბაიერნმა“ გასულ ზაფხულს „კიოლნიდან“ 10 მილიონ ევროდ იყიდა, თუმცა პოდოლსკის თავისი ახალი კლუბის მაისურით ბუნდესლიგაში გოლი ჯერ არ გაუტანია. ეროვნულ ნაკრებში კი მისი შედეგი მართლაც შთამბეჭდავია — 35 მატჩში 20 გოლი. იგი გერმანიის მუნდიალის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელადაც დაასახელეს.

გიორგი კაკაბაძე

არ დაიზარო, ნახე პიზარო

„ბაიერნის“ პერუელი თავდამსხმელი კლაუდიო პიზარო ამბობს, რომ სეზონის ბოლოს მიუნხენიდან წავა. საქმე ის გახლავთ, რომ პიზაროსა და „ბაიერნს“ შორის დადებულ კონტრაქტს ვადა 2007 წლის ზაფზულში ეწურება, კლუბი კი მის გახანგრძლივებას არ ჩქარობს. ამასობაში, როგორც თავად 27 წლის ფორვარდი ამბობს, გამოჩნდნენ სხვანი, რომლებიც სიამოვნებით იყიდდნენ პიზაროს.

„თუ ჩემსა და „ბაიერნს“ შორის ახალი ხელშეკრულება არ შედგება, სხვაგან წავალ. უმაღლესი დონის რამდენიმე კლუბმა უკვე გამოხატა ჩემდამი ინტერესი, თუმცა მათთვის არაფერი მიპასუხია, რადგან ჯერ „ბაიერნთან“ უნდა გავარკვიო ურთიერთობა“ — თქვა პიზარომ.

პერუელმა მიუნხენელთა შემადგენლობაში 141 შეხვედრა ჩაატარა და 63 გოლი შეაგდო. მან განაგრძო:

„ამ კლუბის თავდამსხმელობა ადვილი საქმე არ არის, მაგრამ მაინც ყოველთვის ვახერხებ თამაშს. ამ სეზონშიც ივივე განმეორდება. საქმე ის არის, რომ ჩემი სტილი „ბაიერნის“ სხვა მოთამაშეთა სტილისგან განსხვავდება, რაც იმას შინავს, რომ დიდ უპირატესობას ვფლობ.“

„ბაიერნის“ თავდასხმაში პიზაროს მეწყვილე მეტწილად, ჰოლანდიელი როი მაკაი გახლდათ, თუმცა მწვრთნელის, ფელიქს მაგათის განკარგულებაში კიდევ ორი ფორვარდი, ლუკაშ პოდოლსკი და როკე სანტა კრუზიც არიან.

აღსანიშნავია, რომ პიზარო იტალიის მოქალაქეც არის და სრულიად შესაძლებელია, „ინტერის“ შავლურჯ ფორმაშიც ვიხილოთ. ცნობისთვის: „ინტერის მწვრთნელებს მისი საქმეში ნახვა ამ დღეებში, ჩემპიონთა ლიგაში, „სან სიროზე“ მათი გუნდისა და „ბაიერნის“ უშუალო დაპირისპირებაშიც შეეძლებათ.

ინტერს მალუდა სწყურია

იტალიური მედიის ცნობით, მილანის „ინტერის“ მთავარი სამიზნე ახლა ფლორენტ მალუდაა. 26 წლის შემტევმა ნახევარმცველმა მსოფლიოს ჩემპიონატზე და „ლიონში“ კარგი თამაშით მიიქცია „ნეროაძურის“ ყურადღება.

„ინტერის“ მფლობელი მასიმო მორატი მზად არის, ჯიბეზე გვარიანად გაიკრას ხელი, რათა იანვარშივე თუ ვერა, ფრანგი მომავალ ზაფხულს მაინც ჩაიგდოს ხელში. თუმცა მალუდას სხვა მსურველებიც ჰყავს. გარდა ამისა, „ლიონი“ წამყვანი ფეხბურთელების გაშვებას უფრთხის და ალბათ მალუდას შენარჩუნებასაც ყველანაირად ეცდება. მით უმეტეს, რომ ფეხბურთელს „ჟერლანის“ ბინადრებთან კიდევ ოთხწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

ამბობენ, თუ „ინტერს“ მალუდასთან არაფერი გამოუვა, მარსელელ რამირ ნასრიზე გადაერთვებაო. 19 წლის ფეხბურთელი ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება ევროპაში და ის „ნეროაძურის“ მწვრთნელ რობერტო მანჩინისაც მოსწონს. ნასრის შეძენა „მანჩესტერ სიტისა“ და „უდინეზესაც“ სურთ.

კოკი კანდელაკი

ბრაზილია

სერია A. XXVI ტური

სანტა კრუზი — ფუვენტუდე 1:0; ინტერნასიონალი — კორინთიანსი 1:1; ვასკუ და გამა — ბოტაფოგო 0:0; პონტე პრეტა — კრუზეირო 0:1; პალმეირასი — სან პაულუ 3:1; ფიგეირენსე — პარანა 0:1; გოიასი — გრემიო 4:0; სანტოსი — ფლამენგო 3:0; ფლუმინენსე — ფორტალეზა 1:3; ატლ. პარანენსე — სან კაეტანო 3:1

ჩილე

კლასსური. XI ტური

უნიონ კონსეპსიონი — ო ჰიგინსი 0:0; რეინჯერსი — სან მორნინგი 3:1; უნივერსიდად დე ჩილე — კოკიმბო 1:2; ანტოფაგასტა — უაჩიპატო 2:0; უონდერერსი — ეკვერტონი 1:1; აუდაქს იტალიანო — კობრესალი 5:0; ლა სერენა — პალესტინო 1:1; პუერტო მონტი — უნივერსიდად კათოლიკა 3:1; უნიონ ესპანიოლა — კობრელოა 0:3

არგენტინა

აპერტურა. VIII ტური

ხიმნასია (ლ) — როსარიო 0:1; გოდოი კრუზი — ბანფილდი 1:3; ოლდ ბოისი — ხიმნასია (ხ) 1:0; რივერ პლეიტი — კოლონი 1:1; ნუევა ჩიკაგო — ბოკა ხუნიორსი 0:1; რასინგი — კილმესი 1:0; ველესი — ბელგრანო 2:0; არგ. ხუნიორსი — არსენალი 1:2; ლანუსი — სან ლორენსო 2:0; ესტუდიანტესი — ინდეპენდიენტე 2:1

მექსიკა

აპერტურა

X ტური

ტეკოსი — გვადალახარა 2:1; ამერიკა — მონტერეი 1:1; უნამი — ნეკაქსა 1:1; ვერაკრუსი — ხაგუარესი 3:1; სან ლუისი — პაჩუკა 0:3; ატლასი — ტოლუკა 0:0; მორელია — კრუზ ასული 4:4; კერეტარო — ატლანტე 1:2; ტიგრესი — სანტოსი 2:2

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა						
		26 სექტემბერი						
22:45	29	პორტ ვეილი-ნოტინგემი	2.70	3.20	2.35	1.46	1.25	1.35
22:45	30	სუონსი-ქრიუ	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
22:45	31	ტრანმერი-ჰადერსფილდი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
22:45	32	იოვილი-ბრაიტონი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
22:45	33	კარლაილი-ბლეკპული	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
22:45	34	ჩელტენემი-ნორთჰემპტონი	2.20	3.20	2.95	1.30	1.26	1.53
22:45	35	დონკასტერი-ბრედფორდი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
22:45	36	მილუოლი-ბრენტფორდი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
22:45	37	ოლდემი-როტერჰემი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
22:45	38	ბორნმუთი-ბრისტოლი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
22:45	39	ლეიტონი-ჯილინგემი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
		27 სექტემბერი						
22:30	40	ჩესტერფილდი-სკანთორპი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
		ინგლისი. II ლიგა						
		26 სექტემბერი						
22:45	53	ბერი-აკრინგტონი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
22:45	54	გრიმსბი-ჰარტლპული	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
22:45	55	ნოტსი-სტოკპორტი	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
22:45	56	მაკლსფილდი-ჩესტერი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
22:45	57	დონსი-ტორკი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
22:45	58	პიტერბრო-ბარნეტი	1.75	3.40	4.10	1.15	1.22	1.85
22:45	59	შრიუსბერი-უოლსოლი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
22:45	60	მენსფილდი-დარლინგტონი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
22:45	61	უიკომბი-სუინდონი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
		27 სექტემბერი						
22:45	62	როვერსი-ჰერეფორდი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
22:45	63	რექსემი-როჩდეილი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
22:45	64	ბოსტონი-ლინკოლნი	3.10	3.20	2.10	1.57	1.25	1.26
		ინგლისი. კონფერენსი						
		26 სექტემბერი						
22:45	77	საუთპორტი-ნორთვიჩი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		შვედეთი. ალსვენსკა						
		26 სექტემბერი						
21:00	456	იოსტერსი-ჰელსინგბორგი	4.20	3.40	1.80	1.87	1.25	1.17
21:00	457	ელფსბორგი-იორგრიტე	1.40	4.00	8.00	1.03	1.19	2.66
22:00	458	აიკ-ჰამარბი	2.05	3.30	3.30	1.26	1.26	1.64
		ჩემპიონთა ლიგა						
		26 სექტემბერი						
22:45	527	სტიაუა-ლიონი	4.10	3.20	1.90	1.79	1.29	1.19
20:30	528	ცსკა(მ)-ჰამბურგი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
22:45	529	ლილი-მილანი	3.30	3.10	2.15	1.59	1.30	1.26
22:45	530	რეალი-დინამო კ	1.22	5.50	12.00	1.00	1.10	3.77
22:45	531	სელტიკი-კოპენჰაგენი	1.60	3.50	5.80	1.09	1.25	2.18
22:45	532	ბენფიკა-მანჩესტერი	3.50	3.10	2.05	1.64	1.29	1.23
22:45	533	არსენალი-პორტუ	1.45	3.80	7.50	1.04	1.21	2.52
22:45	534	აეკ-ანდერლეხტი	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
		27 სექტემბერი						
22:45	535	ვერდერი-ბარსელონა	3.60	3.20	2.00	1.69	1.28	1.23
22:45	536	ლევსკი-ჩელსი	9.00	3.90	1.37	2.72	1.18	1.01
22:45	537	ინტერი-ბაიერნი	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
20:30	538	სპარტაკი -სპორტინგი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
22:45	539	ბორდო-პსვ	2.15	3.00	3.40	1.25	1.31	1.59
22:45	540	ლივერპული-გალათასარაი	1.40	3.90	8.50	1.03	1.20	2.67
22:45	541	შახტარი-ოლიმპიაკოსი	1.90	3.30	4.00	1.20	1.28	1.80
22:45	542	ვალენსია-რომა	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
		უეფას თასი						
		28 სექტემბერი						
17:30	543	ოდენსე-ჰერტა	3.10	3.10	2.10	1.54	1.25	1.25
20:30	544	ჰაპოელი -ჩერნომორეცი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
22:00	545	ლიტექსი-მაკაბი ჰ	2.00	3.20	3.55	1.23	1.27	1.68
19:30	546	ბოლესლავი-მარსელი	3.50	3.00	2.05	1.61	1.29	1.21
20:00	547	ლანსი-ეთნიკოსი	1.15	5.80	14.00	1.00	1.06	4.10
20:00	548	ნანსი-შალკე	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46
20:05	549	ბრიონდბიუ-აინტრახტი	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
20:30	550	ცსკა(ბულ)-ბეშიქთაში	2.15	3.00	3.20	1.25	1.28	1.54
20:30	551	პარმა-რუბინი	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
20:30	552	პაშინგი-ლივორნო	2.45	2.90	2.90	1.32	1.32	1.45
20:45	553	ჰერენვენი-სეტუბალი	1.55	3.50	6.20	1.07	1.24	2.23
21:00	554	დინამო(ბქ)-ქსანთი	1.30	4.50	7.60	1.00	1.11	2.82
21:00	555	კაისერი-ალმაარი	2.80	3.00	2.35	1.44	1.27	1.31
22:15	556	მეტალურგი(ზ)-პანათინაიკოსი	4.00	3.50	1.75	1.86	1.21	1.16
21:30	557	გრასჰოპერი-ატვიდაბერგი	1.20	5.20	11.00	1.00	1.08	3.53
21:30	558	ირაკლისი-ვისლა	2.25	2.90	3.00	1.26	1.28	1.47
21:30	559	რაბოტნიკი-ბაზელი	3.20	3.10	2.05	1.57	1.24	1.23
21:45	560	ფეიენოორდი-ლოკომოტივი ბ	1.30	4.40	8.50	1.00	1.12	2.89
21:30	561	ოსერი-დინამო ზ	1.45	3.90	6.50	1.05	1.18	2.43
22:00	562	გრონინგენი-პარტიზანი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
22:00	563	ცრვენა ზვეზდა-ლიბერეცი	1.80	3.10	4.20	1.13	1.25	1.78
22:30	564	ბრიუგე-რუუმბეროკი	1.35	4.10	7.50	1.01	1.14	2.65
22:30	565	ლევერკუზენი-სიონი	1.25	4.90	8.50	1.00	1.08	3.10
22:30	566	რანდერსი-ფენერბაჰჩე	6.50	3.70	1.50	2.35	1.21	1.06
22:30	567	ნიუკასლი-ლევადია	1.12	6.50	14.00	1.00	1.03	4.43
22:45	568	კიევი-ბრაგა	1.75	3.10	4.50	1.11	1.25	1.83
22:45	569	ოსასუნა-ტრაბზონი	1.40	3.90	6.60	1.03	1.15	2.45
22:45	570	პალერმო-ვესტ ჰემი	1.90	3.10	3.70	1.17	1.25	1.68
22:45	571	აიაქსი-სტარტი	1.15	6.30	11.00	1.00	1.04	4.00
22:45	572	ბლექბერნი-ზალცბურგი	1.50	3.80	5.50	1.07	1.17	2.24
22:45	573	რეინჯერსი-მოლდე	1.25	4.50	9.00	1.00	1.09	3.00
22:45	574	აუსტრია-ლეგია	2.00	3.10	3.40	1.21	1.25	1.62
23:00	575	ნასიონალი-რაპიდი(ბ)	2.00	3.20	3.35	1.23	1.25	1.63
23:00	576	სპარტა-ჰართსი	1.55	3.40	5.20	1.06	1.19	2.05
23:00	577	სელტა-სტანდარდი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
23:00	578	ტოტენჰემი-სლავია	1.30	4.30	8.50	1.00	1.12	2.85
21:00	579	ვარეგემი-ლოკომოტივი(მ)	3.30	3.10	2.00	1.59	1.24	1.21
23:00	580	პსუ-დერი	1.12	7.00	12.00	1.00	1.02	4.42
23:30	581	სევილია-ატრომიტოსი	1.06	8.50	14.00	1.00	1.00	5.28
23:30	582	ესპანიოლი-პეტრუალკა	1.30	4.50	7.60	1.00	1.11	2.82
		დანია. თასი						
		27 სექტემბერი						
21:00	598	ფრემი-ესბიერგი	4.80	3.50	1.65	2.02	1.22	1.12
		ჰოკეი. შვედეთი						
		26 სექტემბერი						
21:00	702	ფრიოლუნდა-აიკ	1.40	4.40	4.00	1.06	1.03	2.09
21:00	703	ბრიუნესი-მალმიო	1.75	4.20	2.80	1.23	1.07	1.67
21:00	704	მოდო-იუტგორდენი	1.90	4.20	2.40	1.30	1.06	1.52
		ჰოკეი. ფინეთი						
		26 სექტემბერი						
19:30	716	ჰელსინკი-ლუკო	1.50	4.20	3.70	1.10	1.06	1.96
19:30	717	კალპა-პელიკანსი	2.30	4.10	2.05	1.47	1.08	1.36
19:30	718	ტაპარა-სეიპა	1.60	4.30	3.00	1.16	1.04	1.76
19:30	719	იუვესკიულე-ტურკუ	2.10	4.20	2.25	1.39	1.08	1.46
19:30	720	კერპეტი-ილვესი	1.50	4.40	3.60	1.11	1.05	1.98
19:30	721	ესტი-ჰაამეენლინა	2.25	4.20	2.10	1.46	1.08	1.39
19:30	722	ესპოო-იოკერიტი	2.35	4.10	2.00	1.49	1.08	1.34
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		26 სექტემბერი						
21:00	737	სლავია-სპარტა	2.15	4.20	2.20	1.42	1.08	1.44
		29 სექტემბერი						
19:00	738	ტრუინეცი-კლადნო	1.85	4.20	2.60	1.28	1.08	1.60
19:00	739	ვსეტინი-ლიტვინოვი	2.25	4.20	2.10	1.46	1.08	1.39
19:30	740	ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე	1.85	4.20	2.60	1.28	1.08	1.60
19:30	741	ზნოიმო-სლავია	2.05	4.10	2.30	1.36	1.08	1.47

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	742	კარლოვი ვარი-ზლინი	2.15	4.10	2.20	1.41	1.08	1.43
20:00	743	სპარტა-პლზენი	1.65	4.40	3.00	1.20	1.06	1.78
20:30	744	ლიბერეცი-პარდუბიცე	2.00	4.20	2.35	1.35	1.08	1.50
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		26 სექტემბერი						
19:00	752	მიკულაში-მარტინი	1.80	4.00	2.70	1.24	1.08	1.61
19:00	753	პოპრადი-ზვოლენი	1.80	4.00	2.65	1.24	1.07	1.59
19:30	754	კოშიცე-სკალიცა	1.30	4.40	5.00	1.00	1.03	2.34
19:30	755	ჟილინა-ნიტრა	2.10	4.00	2.30	1.37	1.09	1.46
20:00	756	სლოვანი-ტრენჩინი	1.75	4.10	2.70	1.22	1.06	1.62
		ჰოკეი. შვეიცარია						
		26 სექტემბერი						
21:45	782	სერვეტი-ლანგნაუ	1.60	4.30	3.00	1.16	1.04	1.76

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:45	783	ციურიხი-რაპერსვილი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
		ჰოკეი. რუსეთი						
		27 სექტემბერი						
14:00	796	ვიტიაზი-ხიმიკი	2.70	4.30	1.75	1.65	1.06	1.24
16:30	797	მაგნიტოგორსკი-ლოკომოტივი	1.65	4.50	2.80	1.20	1.03	1.72
19:00	798	ცსკა-ავანგარდი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
14:00	799	ლადა-ამური	1.35	5.00	4.50	1.06	1.03	2.36
14:00	800	ნოვოუზნეცკი-ნეფტეხიმიკი	1.90	4.30	2.55	1.31	1.08	1.60
14:00	801	ს.იულაევი-კრილია	1.40	4.70	4.20	1.07	1.04	2.21
14:00	802	სიბირი-აკ ბარსი	2.55	4.40	1.75	1.61	1.03	1.25
		28 სექტემბერი						
14:00	803	ასკ-მვდ	1.70	4.20	2.60	1.21	1.02	1.60
14:00	804	სევერსტალი-დინამო	2.25	4.20	2.05	1.46	1.07	1.37

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10527	სტიაუა-ლიონი	4.50	2.00	2.30	1.38	1.52	1.06
10528	ცსკა(მ)-ჰამბურგი	2.50	2.00	3.70	1.11	1.49	1.29
10529	ლილი-მილანი	3.70	2.00	2.60	1.29	1.52	1.13
10530	რეალი-დინამო კ	1.45	2.80	10.00	1.00	1.26	2.18
10531	სელტიკი-კოპენჰაგენი	2.05	2.00	5.50	1.01	1.49	1.46
10532	ბენფიკა-მანჩესტერი	3.90	2.00	2.50	1.32	1.52	1.11
10533	არსენალი-პორტუ	1.90	2.20	6.20	1.01	1.45	1.62
10534	აეკ-ანდერლეხტი	2.30	2.00	4.55	1.06	1.52	1.38
10535	ვერდერი-ბარსელონა	4.10	2.00	2.45	1.34	1.53	1.10
10536	ლევსკი-ჩელსი	7.50	2.20	1.75	1.70	1.41	1.00
10537	ინტერი-ბაიერნი	2.35	2.00	4.40	1.08	1.53	1.37
10538	სპარტაკი -სპორტინგი	2.50	2.00	3.75	1.11	1.50	1.30
10539	ბორდო-პსვ	2.55	2.00	3.85	1.12	1.53	1.31
10540	ლივერპული-გალათასარაი	1.80	2.20	7.00	1.00	1.43	1.67
10541	შახტარი-ოლიმპიაკოსი	2.35	2.00	4.40	1.08	1.53	1.37
10542	ვალენსია-რომა	2.35	2.00	4.40	1.08	1.53	1.37

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11527	სტიაუა-ლიონი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.70
11528	ცსკა(მ)-ჰამბურგი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11529	ლილი-მილანი	4.60	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11530	რეალი-დინამო კ	1.40	15.00	40.00	3.50	6.00	17.00	25.00	17.00	17.00
11531	სელტიკი-კოპენჰაგენი	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11532	ბენფიკა-მანჩესტერი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11533	არსენალი-პორტუ	2.00	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11534	აეკ-ანდერლეხტი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11535	ვერდერი-ბარსელონა	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11536	ლევსკი-ჩელსი	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	1.60
11537	ინტერი-ბაიერნი	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11538	სპარტაკი -სპორტინგი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11539	ბორდო-პსვ	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11540	ლივერპული-გალათასარაი	1.80	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11541	შახტარი-ოლიმპიაკოსი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11542	ვალენსია-რომა	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.50

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		მეტ.	ნაკ.
12527	სტიაუა-ლიონი	1.70	1.90
12528	ცსკა(მ)-ჰამბურგი	1.60	2.00
12529	ლილი-მილანი	1.60	2.00
12530	რეალი-დინამო კ	2.00	1.60
12531	სელტიკი-კოპენჰაგენი	1.70	1.90
12532	ბენფიკა-მანჩესტერი	1.60	2.00
12533	არსენალი-პორტუ	1.70	1.90
12534	აეკ-ანდერლეხტი	1.60	2.00
12535	ვერდერი-ბარსელონა	1.90	1.70
12536	ლევსკი-ჩელსი	1.70	1.90
12537	ინტერი-ბაიერნი	1.70	1.90
12538	სპარტაკი -სპორტინგი	1.60	2.00
12539	ბორდო-პსვ	1.55	2.10
12540	ლივერპული-გალათასარაი	1.70	1.90
12541	შახტარი-ოლიმპიაკოსი	1.60	2.00
12542	ვალენსია-რომა	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13527	სტიაუა-ლიონი	1.70	1.90
13528	ცსკა(მ)-ჰამბურგი	1.70	1.90
13529	ლილი-მილანი	1.70	1.90
13530	რეალი-დინამო კ	2.20	1.40
13531	სელტიკი-კოპენჰაგენი	1.70	1.90
13532	ბენფიკა-მანჩესტერი	1.70	1.90
13533	არსენალი-პორტუ	1.90	1.65
13534	აეკ-ანდერლეხტი	1.70	1.90
13535	ვერდერი-ბარსელონა	1.70	1.90
13536	ლევსკი-ჩელსი	2.00	1.50
13537	ინტერი-ბაიერნი	1.70	1.90
13538	სპარტაკი -სპორტინგი	1.70	1.90
13539	ბორდო-პსვ	1.70	1.90
13540	ლივერპული-გალათასარაი	1.90	1.65
13541	შახტარი-ოლიმპიაკოსი	1.70	1.90
13542	ვალენსია-რომა	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შალი დაგებულად ჩაითვლება)

14527	სტიაუა-ლიონი	2.20	1.70
14528	ცსკა(მ)-ჰამბურგი	1.75	2.10
14529	ლილი-მილანი	2.10	1.75
14530	რეალი-დინამო კ	1.05	2.90
14531	სელტიკი-კოპენჰაგენი	1.30	2.50
14532	ბენფიკა-მანჩესტერი	2.20	1.70
14533	არსენალი-პორტუ	1.20	2.60
14534	აეკ-ანდერლეხტი	1.60	2.30
14535	ვერდერი-ბარსელონა	2.20	1.70
14536	ლევსკი-ჩელსი	2.60	1.15
14537	ინტერი-ბაიერნი	1.65	2.20
14538	სპარტაკი -სპორტინგი	1.75	2.10
14539	ბორდო-პსვ	1.75	2.10
14540	ლივერპული-გალათასარაი	1.20	2.60
14541	შახტარი-ოლიმპიაკოსი	1.70	2.20
14542	ვალენსია-რომა	1.60	2.30

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15527	სტიაუა-ლიონი	3.00	2.80	2.00
15528	ცსკა(მ)-ჰამბურგი	3.00	2.80.	2.00
15529	ლილი-მილანი	3.00	2.80	2.00
15530	რეალი-დინამო კ	3.00	2.80	2.00
15531	სელტიკი-კოპენჰაგენი	3.00	2.80	2.00
15532	ბენფიკა-მანჩესტერი	3.00	2.80	2.00
15533	არსენალი-პორტუ	3.00	2.80	2.00
15534	აეკ-ანდერლეხტი	3.00	2.80	2.00
15535	ვერდერი-ბარსელონა	3.00	2.80	2.00
15536	ლევსკი-ჩელსი	3.00	2.80	2.00
15537	ინტერი-ბაიერნი	3.00	2.80	2.00
15538	სპარტაკი -სპორტინგი	3.00	2.80	2.00
15539	ბორდო-პსვ	3.00	2.80	2.00
15540	ლივერპული-გალათასარაი	3.00	2.80	2.00
15541	შახტარი-ოლიმპიაკოსი	3.00	2.80	2.00
15542	ვალენსია-რომა	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16527	სტიაუა-ლიონი	2.40	1.45
16528	ცსკა(მ)-ჰამბურგი	1.50	2.15
16529	ლილი-მილანი	2.50	1.50
16530	რეალი-დინამო კ	1.03	6.70
16531	სელტიკი-კოპენჰაგენი	1.23	3.30
16532	ბენფიკა-მანჩესტერი	2.50	1.40
16533	არსენალი-პორტუ	1.15	3.90
16534	აეკ-ანდერლეხტი	1.35	2.60
16535	ვერდერი-ბარსელონა	2.50	1.40
16536	ლევსკი-ჩელსი	4.60	1.11
16537	ინტერი-ბაიერნი	1.35	2.60
16538	სპარტაკი -სპორტინგი	1.45	2.35
16539	ბორდო-პსვ	1.50	2.20
16540	ლივერპული-გალათასარაი	1.12	4.50
16541	შახტარი-ოლიმპიაკოსი	1.35	2.60
16542	ვალენსია-რომა	1.30	2.70

გოლი:ფსევდონი-10თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფსევდონად)

17527	სტიაუა-ლიონი	1.85	1.95
17528	ცსკა(მ)-ჰამბურგი	1.85	1.95
17529	ლილი-მილანი	1.85	1.95
17530	რეალი-დინამო კ	1.85	1.95
17531	სელტიკი-კოპენჰაგენი	1.85	1.95
17532	ბენფიკა-მანჩესტერი	1.85	1.95
17533	არსენალი-პორტუ	1.85	1.95
17534	აეკ-ანდერლეხტი	1.85	1.95
17535	ვერდერი-ბარსელონა	1.85	1.95
17536	ლევსკი-ჩელსი	1.85	1.95
17537	ინტერი-ბაიერნი	1.85	1.95
17538	სპარტაკი -სპორტინგი	1.85	1.95
17539	ბორდო-პსვ	1.85	1.95
17540	ლივერპული-გალათასარაი	1.85	1.95
17541	შახტარი-ოლიმპიაკოსი	1.85	1.95
17542	ვალენსია-რომა	1.85	1.95

Guangzhou 2006
Direct Live Access

მსოფლიოს ჩემპიონატი
გუანჯოუ. ჩინეთი. 25-29 სექტემბერი

ბერძნულ-რომაული

55 კგ	60 კგ	66 კგ
1 ჰამიდ სურიანი (ირანი)	1 ჯო უორენი (აშშ)	1 იან იან ლი (ჩინეთი)
2 როუშან ბაირამოვი (აზერბაიჯანი)	2 დავით ბედინაძე (საქართველო)	2 კამატბეკ ბეგალიევი (ყირგიზეთი)
3 ლინდსი დურლაჩერი (აშშ)	3 ემიკ ბუნიამინი (თურქეთი)	3 ჰარი ლესტერი (აშშ)
3 პარკ ეუნ ჩოლი (ს. კორეა)	3 ვიაჩესლავ ჯასტე (რუსეთი)	3 სერგეი კოვალენკო (რუსეთი)

ბედი, ბედი გინდა...
დავით ბედინაძე ოქროს წამებმა ვერცხლს დააჯერა



ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა სამდღიანი მსოფლიოს ჩემპიონატის პირველსავე დღეს შეძლო შარშანდელი შედეგის, უფრო კი უშედეგობის გამოსწორება. ბეგი დარჩიას შვიდეულიდან ხალიჩაზე გუშინ სამი გავიდა და ერთმა ფინალსაც უწია, თუმც ოქროს ვეღარ შეწვდა.

წლევანდელი ევროპირველობის ვიცე-ჩემპიონ დავით ბედინაძეს (60კგ) საბოლოო გამარჯვებამდე ახლაც ერთი ნაბიჯი დააკლდა და რაც ყველაზე საწყენია, მოსკოვის მსგავსად, გუანჯოუშიც ბოლო წამებზე დაკარგა ოქროს მედლის შანსი. ამჯერად ჩვენებურის ცოდვაში ფეხი ამერიკელმა ჯო უორენმა ჩადგა. არადა, ფინალი ისე დაიწყო, ცუდს ვერავინ იფიქრებდა. ილეთის გარეშე ჩამთავრებულ პირველ რაუნდში ბედინაძემ იმარჯვა. მონეტა მის ფერზე დაჯდა და ჩოქბჯენში პირველი ამერიკელი ჩააყენეს. უორენმა ოცდაათ წამში ქულა მიითვალა, რადგან ქართველმა ადგილიდან ვერ დაძრა. მომდევნო ოცდაათ წამში ფინალისტებმა ადგილები გაცვალეს და ანალოგიური, ოღონდ უფრო ძვირფასი ქულა ქართველმა მოიპოვა — წესების მიხედვით, ფრის შემთხვევაში უპირატესობა ბოლო ქულის ამღებს ენიჭება.

მეორე რაუნდში უორენმა ჩოქბჯენამდე შეძლო ორი ქულის აღება. მერე ნახევარწუთიანი პასიურობისთვის სხვაობა კი შეუმცირდა, მაგრამ ბედინაძემ მომგებიანი ქულის აღება ვერ შეძლო და ჩემპიონის გამოსავლენად მესამე რაუნდის ჩატარება გახდა საჭირო. ბოლო, ამერიკული ჩოქბჯენისას დავითს მოწინააღმდეგისთვის ილეთის საშუალება არ უნდა მიეცა და ჩემპიონიც ხდებოდა. სირენამდე ათიოდ წამით ადრე გაექცა კიდეც და ფეხზე წამოდგომაც შეძლო, თუმცა, როგორც ჩანს, საქმე მომთავრებულად ჩათვალა და მოდუნდა. უორენმაც მყისვე საჩემპიონო ქულიანი ილეთი გაახერხა.

ფინალამდე დავით ბედინაძემ ოთხი მეტოქე ჩამოიცილა: გერმანელი ჰაინც მარნეტი, უნგრელი იშტვან მაიოროში, უკრაინელი ოლექსეი ვაკულენკო და თურქი ემიკ ბუნიამინი.

ირაკლი ჭოჭუამ (55კგ) და ლაშა ლომაძემ (66კგ) საწყის ეტაპებზევე წააგეს და ჭიდაობის რეპეშაჟში გაგრძელების შანსიც აღარ მისცემიათ. ჭოჭუა ბერძენი არტიომ კიურჯიანის ძლევის შემდეგ ყაზახ იერბელ კონირატოვთან ველარაფერს გახდა და რადგან ამ უკანასკნელმაც მალევე წააგო, ბრინჯაოს შანსიც დაიკარგა. უმსუბუქესი წონის ფინალში კონირატოვის მომგებმა აზერბაიჯანელმა როუშან ბაირამოვმა და ირანელმა ჰამიდ სურიანმა იჭიდავეს. ჩემპიონატის პირველ ოქროს ირანელი დაეუფლა.

66 კილოგრამში კი მასპინძელთა ჯილამ იან იან ლიმ იჩემპიონა ყირგიზი კამატბეკ ბეგალიევის ძლევით. დარჩიას გუნდის დებიუტანტ ლომაძეს პირველ წრეში შვედ ჯიმი სამუელსონთან დაუცდა ფეხი. შვედს კი რამდენიმე წუთში უნგრელმა ტომაშ ლორენცმა აჯობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლიშვილმა მოგებით დაიწყო

ევროპის წამყვანი საკალათბურთო ქვეყნებიდან ჩემპიონატი პირველად საფრანგეთში დაიწყო. ჩვენი ინტერესი კი ფრანგულ ლიგაში მოთამაშე ორი გუნდისკენაა მიპყრობილი — „დიჟონისა“ და „პო ორტეზისაკენ“.

მოგეხსენებათ, პირველში საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი თამაშობს, ხოლო მეორეს ჩვენი ევრონული გუნდის მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი თავკაცობს. „დიჟონში“ ირიცხებოდა ვიქტორ სანიკიძეც, რომელმაც ახლახან ესპანურ „ესტუდიანტესს“ მიაშურა.

ნაცვლიშვილის „დიჟონმა“ პირველ ტურში საამაყო გამარჯვება მოიპოვა — გასული სეზონის ერთ-ერთი ლიდერი „ლე მანი“ გასვლაზე დაამარცხა. გორდონ ჰერბერტი ნაცვლიშვილს ნაკრებში ნაკლებად ენდობოდა, „დიჟონში“ კი ქართველს მეტი სათამაშო დრო გამოუყვეს.

ვატომ 12 წუთი ითამაშა და ოთხ ქულასთან ერთად თითო ჩაჭრა-პასიც გაახერხა. „დიჟონმა“ კი მეტად დრამატულ ბრძოლაში გამოჰგლიჯა გამარჯვება მეტოქეს.

პირველი მეოთხედი ვატოს გუნდმა 8 ქულით კი მოიგო, მაგრამ მეორე და მესამე მეოთხედში ლემანელები ათამაშდნენ და დიდი შესვენებისთვის ჯერ ქულამდე შეამცირეს ჩამორჩენა, შემდეგ კი მთელი 12 ქულითაც გალიდერდნენ. არავინ ელოდა, რომ ბოლო მეოთხედში „დიჟონი“ მოსაგებად კვლავ გაიწევდა, მაგრამ სტუმრებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და ანგარიში ბოლო წუთებზე გაათანაბრეს.

ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა — დიჟონელთა ბომბარდირის, ტიჯეი ლუქსის უზუსტესმა სროლამ სტუმრებს ქულიანი გამარჯვება მოუტანა — 70:69.

გორდონ ჰერბერტის დებიუტი კი „პო ორტეზში“ უიღბლო გამოდგა. პოელებმა „ლე ავრთან“ სტუმრად 61:76 წააგეს.

ირაკლი პერტაია

ევროპის ჩემპიონატი. 20-წლამდელები
ჰოლანდია. 24 სექტემბერი — 1 ოქტომბერი

საქართველომ რუსეთი დაამარცხა 15:7

გუშინ ჰოლანდიაში 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 15:7 მიანგრია ბოლო დროს მოყოჩაღებული რუსეთი და ევრორაგბობას კარგ გუნებაზე აგრძელებს.

თხუთმეტივე ქულა ჩვენებს უკრაინული „ოდესის“ ლეგიონერმა და ბომბარდირმა ლაშა მალაღურაძემ მოუნაგრა — ხუთი საჯარიმო უთავაზა რუსებს და ერთი ლელო-გარდასახვა გაუბათილა.

საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩს რუსეთზე სუსტ ესპანეთთან 28 სექტემბერს გამართავს. ბოლო ჯაბი კი ჩვენებს ტურნირის ფავორიტ რუმინეთთან ელით.

შეგახსენებთ, რომ ტურნირზე სულ 20 ნაკრები თამაშობს. ორგანიზატორებმა და ევროპული რაგბის მთავარმა ოფისმა ფირაერმა 20 გუნდი დაახარისხა და რეიტინგის მიხედვით ხუთ ოთხგუნდა ჯგუფად დაყო. ჩვენები, როგორც მოქმედი ევროპის ჩემპიონები, ელიტარულ ოთხეულში მოხვდნენ რუმინეთის, რუსეთისა და ესპანეთის ნაკრებებთან ერთად. სწორედ ეს ოთხეული ერთწრიანი სისტემით გაარკვევს ევროპის ჩემპიონის ვინაობას.

ბაჩო სვანიძე

მარკოიშვილმა და ოლიმპიამ თამაში დახურეს

ფინეთში გუნდმა ნაკრები და არა უკანა ხაზმა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა საკვალიფიკაციო მატჩები მოილია და მოთამაშეებმაც კლუბებს მიაშურეს. ფინეთიდან პირდაპირ სლოვენიაში გაემგზავრა სანაკრებო მატჩებში თავგამოჩენილი მანუჩარ მარკოიშვილი, რომელიც ლიუბლიანის „ოლიმპიას“ დაგვიანებით კი შეუერთდა, მაგრამ ამის გამო პრობლემები არ შეუქმნია. მანომ უკვე სამ ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ევროპის რჩეულ კლუბებთან თავი არ შეურცხვენია. საქმე იქით მიდის, რომ მარკოიშვილი „ოლიმპიას“ ხუთეულში ითამაშებს, იმ „ოლიმპიასი“, რომელიც წლეულს კიდევ უფრო გაძლიერდა და შიდაჩემპიონატთან ერთად ევროლიგაშიც ექნება თავისი წილი ამბიცია. მარკოიშვილს გუშინ სლოვენიაში შევეხმიანეთ...



მარკ ფილიპოვსკის ფოტო

— „ოლიმპია“ თვენახევრის შეკრებილი იყო, მე რომ გასულ კვირაში შევუერთდი, თუმც გუნდის რიტმში იოლად ჩავჯექი, რადგან საქართველოს ნაკრებში ვიყავი ნავარჯიშევი.

— ისლანდიასთან მატჩში მიღებული ტრავმა ხომ არ გაგიმიზეზდა?

— ცოტა შესიებული მაქვს ფეხი, მაგრამ სერიოზული არაფერია. ექიმებმა მითხრეს, დრო უნდა, რომ ჩაქცეული სისხლი გაიწოვოსო. რაც მთავარია, ნაოპერაციევი კოჭი მაქვს კარგად, აღარ მაწუხებს და მეც ბოლომდე ვიტვირთები.

— „ოლიმპიაში“ რა სიტუაცია დაგხვდა?

— გუნდში ბევრი ცვლილებაა, თუმც ამის შესახებ უკვე ინფორმირებული ვიყავი. არა ერთი ლეგიონერი წავიდა და „ოლიმპიაც“ შედარებით ეროვნული გუნდი გახდა. გასულ სეზონში ხომ იმას გვსაყვედურობდნენ, რომ უცხოელებით ვიყავით გავსებული, წლეულს კი ამ მხრივ ვითარება შედარებით გამოსწორდა. გუნდში სლოვენიელებმა იმატეს.

— სახელიანი ვინ შეიმატეთ?

— მთავარი შენაძენი სლოვენიის ნაკრების ლიდერი მარკო მილიჩია, რომელიც ჩემს პოზიციაზე თამაშობს. მის გარდა თურქეთის ნაკრების ლიდერიც შევიმატეთ — არსლან ერდენი. ასევე მოვიდნენ მარკ ჟუპანი „სლოვანიდან“ და ჰანს ლორბეკი „დომჟალედან“.

— შენს პოზიციაზე კონკურენცია ხომ არ გამძაფრდა?

— არც ისე, ძველად როგორც იყო, დაახლოებით ისეთი სიტუაციაა. მსროლელისა და ფრთის ფოზიციებზე 4 მოთამაშე ვართ — მე, ლორბეკი, მილიჩი და საშო ოზბოლტი. ჯერ არ ვიცი, რომელი რამდენ ხანს ვიქნებით მოედანზე, თუმც აქამდე ყველამ თანაბრად ვითამაშეთ მოსამზადებელ მატჩებში.

— რამდენი მატჩი გამართეთ?

— სამი, ერთსაც ხვალ ვითამაშებთ თელ ავივის „მაკაბისთან“. აქამდე სლოვენიურ „კრკას“, ბერძნულ „ოლიმპიაკოსსა“ და თურქეთის ჩემპიონ „ეფესს“ ვეთამაშეთ. ეს იყო ეგრეთ წოდებული დახურული მატჩები, რომლებსაც არც მაყურებლები დაესწრნენ და არც ჟურნალისტები.

— რატომ, რა იყო დასამალი?

— ეს იყო მოსამზადებელი მატჩები, რომლის შედეგსაც მწვრთნელებისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა და მერე რომ უარყოფითი რეზონანსი არ მოჰყოლოდა ამ შეხვედრების შედეგებს, ცარიელ დარბაზში ვითამაშეთ. „კრკას“ 20 ქულით მოვუგეთ, "ეფესს“ ვუგებდით და ბოლო წუთზე წავაგეთ 4 ქულით, ხოლო „ოლიმპიაკოსმა“ 8 ქულით გვძლია.

— რას იტყვი საკუთარ თამაშზე?

— სამივე მატჩში საშუალოდ 20-25 წუთი ვითამაშე და ვერ ვიტყვი, უკმაყოფილო დავრჩი-მეთქი. სტაბილურად ჩავატარე ყველა შეხვედრა, უფრო კმაყოფილი კი დაცვაში თამაშით ვარ. მთლიანობაში ცუდი შთაბეჭდილება არ დამიტოვებია, რაც მწვრთნელმა დამავალა, ყველაფერი მეტ-ნაკლები წარმატებით შევასრულე.

— როგორ ფიქრობ, „ოლიმპიას“ ხუთეულში ადგილს შეინარჩუნებ?

— წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, თუმც იმედიანად კი ვარ. „კრკასთან“ და „ოლიმპიაკოსთან“ სათადარიგო ვიყავი, „ეფესთან“ ბოლო შეხვედრაში კი ხუთეულში ვითამაშე. არ ვიცი, ყველაფერი მწვრთნელზეა დამოკიდებული.

— საქართველოს ნაკრების მატჩებს რა კომენტარს გაუკეთებ?

— რა უნდა ვთქვა, საწყისი სამი მატჩი კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ფინეთთან მარცხმა გული დაგვწყვიტა. სამწუხაროა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრაში ვერ ვიყოჩაღეთ.

— სწორედ ფინეთთან მატჩი იყო მთავარი და მაინცდამაინც ის წააგეთ. რა იყო ამის მიზეზი?

— ყველამ კარგად დაინახა, რომ ფინელებმა უკანა ხაზში გვავჯობეს. ეს რომ ასე მოხდა, ჩვენი უკანახაზელების დანაშაული კი არაა, არამედ მთლიანი გუნდის. მეტოქის დაბლებმა უამრავი პრობლემა რომ შეგვიქმნეს, კონკრეტულად ვერავის დავაბრალებთ, არც მწვრთნელია დამნაშავე. ვინც მოედანზე იყო, ყველას თანაბრად მიუძღვის ბრალი.

— პეტრი ვირტანენმა და ტეემუ რანიკომ ბევრი ბურთი ჩაგვიგდეს. მათი შეჩერება არ შეიძლებოდა?

— რანიკომ 20 ქულა მოაგროვა 17 სროლიდან; რაც, სხვანაირად არ გამიგოთ და, იმას ნიშნავს, რომ მის წინააღმდეგ ჩვენმა დაცვამ კარგად ითამაშა. მას სროლათა უმრავლესობა ავაცილებინეთ. 17 ცდიდან 20 ქულას მეც შევაგროვებდი, მაგრამ ამის საშუალება არ მომეცა. რანიკომ რომ ამდენი ისროლა, ფინელებმა ეს გუნდური თამაშით მოახერხეს. ახლა წარსულზე ლაპარაკი არ გვარგებს, მომავალი ბრძოლებისთვის უნდა მოვემზადოთ. ჯერ ძალიან ადრეა, გადაჭრით რომ ვთქვათ, რა როგორ იქნება. ის კი ნაღდია, რომ ჩვენ უკეთესი შანსი გვაქვს, რადგან შინ ვთამაშობთ. ტრაგედიის ტოლფასი იქნებოდა, 20 ქულით რომ წაგვეგო, ამ ჩამორჩენის შემცირება ფინეთში მეორე ტაიმში მოვახერხეთ და ახლა მხოლოდ 10 ქულის აღმოფხვრა გვესაჭიროება. ჩემი აზრით, თბილისში ფინელების სასურველი შედეგით დამარცხება ნამდვილად შეგვიძლია, თუმც მანამდეც გვინდა მისვლა — ისლანდიაში რთული ბრძოლა გველის.

ირაკლი პერტაია

ამერიკელებმა ფაჩულია შეაფასეს და დააფასეს

ამერიკელებმა რომ ფულის ფასი იციან, ყველას მოეხსენება და ოკეანგაღმა ბევრი რამ სწორედ ღირებულებით იზომება. თუნდაც კალათბურთში — თუ ბევრს გიხდიან, მაგარი ხარ. ვისაც მეტ მილიონს უხდიან, ის ბევრს თამაშობს და მისგან ბევრი სარგებელია. მაგრამ ხდება ისეც, რომ ვისაც ბლომად ფულს მისცემენ, მას გაცილებით „ღარიბი“ მოთამაშე აჯობებს ხოლმე. რაკი ფული უყვართ, ამერიკელებს მისი თვლაც არ ეშლებათ და ერთი საინტერესო სტატიაც გამოაცხვეს, რომლის შინაარსი ისაა, თუ რატომაა ზაზა ფაჩულია მასზე გაცილებით მაღალხელფასიან თანაამპლუელებზე სარგებლიანი.

სტატია სეკოუ სმიტმა დაწერა გაზეთ „ატლანტა ჯორნალ კონსტიტუშენში“ და აქ, სწორედ ამ სმიტის ნააზრევს გაგაცნობთ...

„ატლანტა ჰოუქსმა“ გასული სეზონის წინ ზაზა ფაჩულია შეიმატა, ვინც თავისუფალ აგენტთა ბაზარზე თითქოს არც კი ჩანდა. ქართველი მოთამაშე მესამე კატეგორიის ცენტრებში გადიოდა და მისი სასეზონო 4 მილიონი ლიგის ერთ-ერთი რიგითი მოთამაშისთვის გადამეტებული ჩანდა.

და რა ხდება ერთი წლის შემდეგ. მოდით გადავხედოთ შარშანდელ გაცილებით ძვირად აყვანილ ცენტრებს. ედი კარიმ, ტაისონ ჩანდლერმა და სამუელ დალამბერმა მთლიანობაში 95-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმეს. თითოეულმა გასულ სეზონში დაახლოებით 10 მილიონი ჩაიჯიბა. ჩანდლერი და დალამბერი მოედანზე სათადარიგო სკამიდან შედიოდნენ — პირველი „ჩიკაგოში“, მეორე „ფილადელფიაში“, ხოლო ედი კარი 19,6 ქულასა და 6 მოხსნას აკეთებდა საშუალოდ „ნიუ იორკ ნიქსში“ და ამ გუნდმა გასულ სეზონში „ატლანტაზე“ მეტი თამაში წააგო. ფაჩულია კი თითქმის შემცვლელის გარეშე თამაშობდა და მისი სტატისტიკა ასეთია: 12 ქულა, 8 მოხსნა. ის გახლდათ საიმედო მექულე და გონიერი მომხსნელი, განსაკუთრებით მეტოქის ფარზე ჩასაფრებული.

და ახლა ასეთი კითხვა: არის თუ არა ზაზა ფაჩულია გასული სეზონის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ტრანსფერი სარგებლიანობისა და ხელფასის შეფარდების გათვალისწინებით? ჩვენ ასე ვფიქრობთ, რომ ეს ჯილდო სწორედ ზაზა ფაჩულიაზეა ზედგამოჭრილი.

ირაკლი პერტაია

დევისის თასი 2006
მსოფლიო ლიგაში გადასასვლელი ჰლეი ოფი

გაისად მართლა ლიგა იქნება
დევისის თასს ფედერერი დაუბრუნდა



AFP დრეგვიდან

როჯერ ფედერერმა შვეიცარიელები მსოფლიო ლიგაში დააბრუნა

დევისის თასის ნახევარფინალების პარალელურად მსოფლიოს რვა ქვეყანაში თექვსმეტი ნაკრები მსოფლიო ლიგაში ადგილის მოსაპოვებლად დაეტაკა ერთმანეთს. აქ გამარჯვებული ნაკრებები, პლუს ნახევარფინალისტები და ამათთან მეოთხედფინალში დამარცხებული ოთხი ნაკრები (ხორვატია, ბელარუსი, ჩილე და საფრანგეთი) მომავალ წელს ჩოგბურთში არსებული უმთავრესი სანაკრებო ჯილდოსთვის იბრძოლებენ.

შეხვედრები მართლაც საინტერესო საცქერი გამოდგა და უმეტესობა ინტრიგითა თუ დაძაბულობით მოსკოვსა და ბუეონოს-აირესში გამართულ ბატალიებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. უმთავრესი კი ის იყო, რომ საჩოგბურთი ელიტას დაუბრუნდნენ ესპანელები და მომავალ წელს ალბათ თასისთვისაც იბრძოლებენ.

თუმც ყველაფერს რიგრიგობით მივყვეთ:

ესპანეთი 4:1 იტალია

ესპანელთა გამარჯვება არც ისე იოლი ყოფილა, როგორც ანგარიშიდან ჩანს. ეგ კი არა, სანტანდერში თითქოს სენსაციის სუნიც დატრიალდა, როცა ფილიპო ვოლანდრიმ მოულოდნელად იოლად დასცა მასპინძლეთა მეორე ნომერი ტომი რობრედო, ანდრეას სეპიმ კი მშვენივრად დაიწყო რაფაელ ნადალთან... მაგრამ ეგ იყო და ეგ — მალიორკელი ვუნდერკინდი ამან ისე გააბრაზა, რომ ლამის ეულად მოიპოვა სამი ქულა და ესპანელები ფაქტობრივად მარტომ აიყვანა მსოფლიო ჯგუფში.

პირნინელებს ძალიან მძლავრი შემადგენლობა ჰყავთ და მომავალი გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტებიც იქნებიან. თუმც კი ამ ბოლო დროს ნადალის გარეშე ვერაფერს აკეთებენ — რაფას არყოფნაში შარშან სლოვაკებთან წააგეს, წლეულს კი ბელარუსებთან. ამიტომაც არის, რომ ესპანეთში ამ ბიჭზე ამოსდით მზე და მთვარე და იმაზე ილოცებენ, რომ სანაკრებოდ ნადალი ჯანმრთელი იყოს ხოლმე.

შვეიცარია 4:1 სერბეთი

ესპანელების არ იყოს, შვეიცარიელთა მომავალიც ერთ დიად კაცზეა დამოკიდებული — საკმარისი იყო როჯერ ფედერერის დაბრუნება და ალპელებიც საუკეთესოთა მარაქაში გაერივნენ. „მხიარულმა როჯერმა“ ერთეულთა ორივე შეხვედრა მოიგო (ნეტავ, ვინმეს თუ ეპარებოდა ამაში ეჭვი) და წყვილებშიც ლომის წვლილი დაიდო ბალკანელთა დამარცხებაში.

შვეიცარიელებს ახლა მხოლოდ ისღა ანაღვლებთ, ითამაშებს თუ არა მომავალ წელს ფედერერი? ესპანელები ავად თუ კარგად, ნადალით თუ მის გარეშე, ყოველთვის შეძლებენ ბრძოლისუნარიანი შემადგენლობის დაყენებას. ალპელები კი უფედერეროდ არაფრის მაქნისნი არიან. თვითონ „მხირულ როჯერს“ კი არაერთხელ უთქვამს, რომ რეიტინგში პირველი ადგილის შენარჩუნება მისთვის ნაკრებში თამაშზე მნიშვნელოვანია. ამიტომაც შვეიცარიელთა მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია.

გერმანია 4:1 ტაილანდი

ამ წყვილში ესპანელთა მსგავსად თავიდან ყველაფერი სენსაციისკენ წავიდა, როცა გერმანელთა საუკეთესო ჩოგბურთელმა ტომი ჰაასმა დანაი უდომჩაკესთან წააგო. თუმც მასპინძლებმა საკუთარი ტრიბუნების თვალწინ თავის შერცხვენა აღარ იკადრეს და იქიდან მოყოლებული, შანსი აღარ დაუტოვეს აზიელებს.

თუმც ჰაასმა ასე თამაში თუ გააგრძლება, საეჭვოა, გერმანელები მსოფლიო ჯგუფში შორს გაფრინდნენ.

სლოვაკეთი 2:3 ბელგია

ეს კი უმთავრესი მოულოდნელობაა — ბოლოს და ბოლოს სლოვაკები გასული გათამაშების ფინალისტები არიან, ახლა კი მინიმუმ ერთი წელი ვეღარ შეძლებენ თასისთვის ბრძოლას.

ბელგიელებს მხსნელად ქონდრისკაცა (165 სმ) ოლივიე როხუსი მოევლინათ, რომელმაც კვირას სასტიკად გაანადგურა სლოვაკთა პირველი ნომერი დომინიკ ჰრბატი და ბენილუქსელებს მესამე და მომგებიანი ქულა მოუტანა. ამის გადა, როხუსმა ლომის წვლილი დაიდო შაბათის წყვილთა გამარჯვებაში, რომელიც ალბათ მთლიანად ამ შეხვედრის გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა.

ჰოლანდია 1:4 ჩეხეთი

ახალგაზრდა ჩეხებმა მიწასთან გაასწორეს მასპინძლები და დამდეგ სეზონში ბევრის გამწარებაც ხელეწიფებათ, განსკუთრებით, თუ ტომაშ ბერდიხი იქნა ჯანზე. ჰოლანდიელები კი რიხარდ კრაიჩეკის ჩოგბურთიდან წასვლის შემდეგ ვერაფრით ახერხებენ მსოფლიო ჯგუფში დაბრუნებას.

კახა ლომაჯვილი

რუმინეთი 4:1 სამხრეთ კორეა
ავსტრია 5:0 მექსიკა
ბრაზილია 1:3 შვედეთი

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	7295
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	4625
3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	3245
4. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2900
5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	2590
6. ენდი როდიკი (აშშ)	2585
7.ტომი რობრედო (ესპანეთი)	2190
8. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	2111
9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2085
10. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი)	1880
11. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	1865
12. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1850
13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	1735
14. ტომი ჰაასი (გერმანია)	1700
15. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	1675
16. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	1400
17. იარკო ნიემინენი (ფინეთი)	1365
18. ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი)	1325
19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	1315
20. გასტონ გაუდიო (არგენტინა)	1245

საჩემპიონო რბოლა

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	1324
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	825
3. ენდი როდიკი (აშშ)	434
4. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	420
5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	418
6. ტომი რობრედო (ესპანეთი)	374
7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	370
8. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	369
9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	365
10. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	339
11. ტომი ჰაასი (გერმანია)	318
12. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	285
13. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	280
14. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი)	268
15. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	263
16. იარკო ნიემინენი (ფინეთი)	250
17-18. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	244
17-18. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	244
19. ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი)	215
20. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	214

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	3746
2. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია)	3474
3. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3037
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	2384
5. კიმ კლაისტერსი (ბელგია)	2360
6. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2027
7. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი)	1996
8. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	1839
9. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1793
10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1589
11. დინარა საფინა (რუსეთი)	1541
12. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	1500
13. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	1262
14. ფრანჩესკა შიაკონე (იტალია)	1204
15. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	1197
16. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	1173
17. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია)	1056
18. მარი პირსი (საფრანგეთი)	981
19. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	910
20. ნა ლი (ჩინეთი)	876

საჩემპიონო რბოლა

1. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია)	3473
2. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	2872
3. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2727
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	2433
5. კიმ კლაისტერსი (ბელგია)	1860
6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	1839
7. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1704
8. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი)	1598
9. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1392
10. დინარა საფინა (რუსეთი)	1363
11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1169
12. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	1059
13. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	1000
14. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	975
15. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია)	898
16. ნა ლი (ჩინეთი)	850
17. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	800
18-19. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	775
18-19. შაჰარ პირი (ისრაელი)	775
20. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	767

სარეიტინგო ადი-ჩადი

ორშაბათს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. კაცთა კლასიფიკაციაში კვლავაც, მხოლოდ ორი ქართველია მოხსენიებული — ჩვენი სადევისთასო ნაკრების წევრები ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე. ლაბაძემ წინა რეიტინგთან შედარებით ერთი ნაბიჯით წინ წაიწია და ახლა 253 ქულით 165-ე ადგილზეა, ხოლო ჩიხლაძემ პირიქით, 9 პოზიცია დაკარგა და 38 ქულით 475-ე საფეხურზე ჩაინაცვლა.

ქალებს რაც შეეხება, მათ შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა და ეს ბუნებრივიც იყო — კლასიფიკაციის ქვედა ასეულებში მყოფი ჩვენებურები ხომ სარეიტინგო ქულებს სწორედ ამ დროს, თბილისისა და ბათუმის ტურნირებზე აგროვებენ. თუმცა, ჯერ ჩვენი ქალთა ჩოგბურთის ლიდერებზე ვთქვათ. მაკა ჩახნაშვილი კიდევ სამი ადგილით დაწინაურდა და 181,5 ქულით უკვე 150-ეა. ერთი საფეხურით მაღლა ავიდა და 77,5 ქულით 291-ეა სოფო მელიქიშვილი, ხოლო ანა ტატიშვილმა ოთხი პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა და 72,5 ქულით 304-ე ადგილს უწია.

მოწინავე სამეულის შემდეგ, უკვე რეგრესია. სალომე დევიძემ 19 პოზიცია დაკარგა და 19,25 ქულით 620-ე ადგილზე დაქვეითდა. მანანა შაფაქიძემ შარშან „ბორჯომის თასის“ ფინალს უწია, მაგრამ წელს იგივე ვეღარ გააკეთა და ერთბაშად 53 პოზიცია დაკარგა — 12,5 ქულით 753-ე ადგილზეა. 9,25 ქულით 849-ე ადგილზეა სოფო შაფათავა, რომელმაც წინა რეიტინგთან შედარებით 5 საფეხურით დაბლა დაიწია.

თეონა ცერცვაძე ერთბაშად 73 ადგილით დაქვეითდა და ახლა 4,75 ქულით 1121-ეა. ხუთ-ხუთი პოზიცია დაკარგეს სალომე ალადაშვილმა და ნანა უროტაძემ, რომლებიც 2,25-2,25 ქულით 1389-ე ადგილს იყოფენ. ყველაზე დიდი რეგრესი კი ია ჯიქიამ განიცადა, ვინც წინა რეიტინგში 878-ე იყო, მაგრამ ერთბაშად 559 ადგილით დაქვეითდა და ამჟამად 1,5 ქულით ოდენ 1437-ეა.

სოფო ქვაცაბია სულაც უქულოდ დარჩა და კლასიფიკაციაში აღარ ფიგურირებს. სამაგიეროდ რეიტინგში გამოჩნდა მარიამ ქურდაძე, ვისაც 3,0 ქულა აქვს და 1296-ე პოზიცია უკავია.

გია მუჯირი

ჰაი, ჰაი, რომ ჰაილე

გებრსელასიემ მსოფლიო რეკორდი ვეღარ დააბოლოვა

სამძლეოსნო სეზონი პრაქტიკულად დასრულებულია და მორბენალ-მხტომელ-მტყორცნელებიც დამქანცველი ზაფხულის შემდეგ სახლებში მიმოფანტულან, მაგრამ ყველანი არა. მზე რომ შუბისტარიდან გადავიდა და ჩრდილოეთ ნახევარსფეროს გზებზე ხვატი სასიამოვნო სიგრილემ შეცვალა, გრძელ სარბიელზე სწორედ ახლა გამოვიდნენ მარათონულ დისტანციებზე მორბენლები. კვირას ერთბაშად სამ ქალაქში გაიმართა უშორეს დისტანციებზე რბენა — ბერლინი და ტურინი მარათონს მასპინძლობდა (42,125), ხოლო ლისაბონი — ნახევარმარათონს.

ყველაზე დიდი ხმაური ბერლინის მარათონს ახლდა. თავად განსაჯეთ — 105 ქვეყნის 39 636 მორბენლის სანახავად გერმანიის დედაქალაქსა და მის სანახებში გაწოლილ 42-კილომეტრიან შარაგზაზე მილიონზე მეტი მაყურებელი გამოფენილიყო. რაოდენობასაც თავი დავანებოთ, მართალია, ოთხი ათეული ათასიდან უმრავლესობამ ფინიშსაც ვერ უწია, მაგრამ რბოლაში ბევრი სახელიანი მორბენალი მონაწილეობდა, რომელთაგან თუნდაც უბერებელი ეთიოპიელის ჰაილე გებრსელასიეს ხსენებაც კმარა.

მაგრამ მხოლოდ მისი ხსენებით ნამდვილად ვერ დავკმაყოფილდებით, რაკი ჰაილემ მოიგო. ამასთან, საკმაოდ სოლიდური შედეგი აჩვენა — 2 საათი, 5 წუთი და 15 წამი და გარდა იმისა, რომ ამსეზონის თავისივე საყოველთაო რეკორდი 24 წამით გაიუმჯობესა, პირადი რეკორდიც დაამყარა და სრულიად ეთიოპიისაც. მსოფლიო რეკორდს კი ჰაილე ვერ შესწვდა, კენიელი პოლ ტერგატის 3 წლის წინანდელ შედეგამდე 1 წუთი და 1 წამი დააკლდა. მთლიანობაში ეთიოპიელი მაინც კმაყოფილია, რაკი ამაზე ჩქარა მარათონელი მანძილი მხოლოდ 4 კაცს გაურბენია, თანაც იქვე დაიქადნა, ადრე თუ გვიან ტერგატის შედეგსაც ვუწევო.

არადა, გებრსელასიემ გადასარევად ირბინა, დამხმარეთა წყალობით პირველი ნახევარი 62 წუთსა და 46 წამში გაირბინა, მერე ხალხი რომ შემოეძარცვა, უფრო აჩქარდა. ფინიშამდე შვიდი კილომეტრით ადრე ის 22 წამით უსწრებდა ტერგატის დროს, მაგრამ შემდეგ ეთიოპიელს დაღლა დაეტყო და ორი კილომეტრით ადრე უკვე 22 წამით იქით ჩამორჩა კენიელის მაჩვენებელს, ბოლო კილომეტრებზე კი სულ დაეცა მისი ტემპი და მსოფლიო რეკორდთან წუთი წაგო, რაც მეტრებში რომ გადავზომით, 300-ს მივიღებთ. ფინიში ყოველთვის ეთიოპიელის სუსტი მხარი იყო, ხოლო კენიელი ტერგატი სწორედ ბოლო კილომეტრებზეა ძლიერი.

ბერლინის მარათონის ქალთა განაკვეთიც ეთიოპიელმა მოიგო — გეტე უამიმ 2 საათში, 21 წუთსა და 34 წამში იმარჯვა.

აი, ტურინში კი პოდიუმის კენწეროზე დაღლილი ფეხი კენიელებმა შედგეს. კაცთა შორის ტივენ კიბავოტიმ (2:10.10) იმარჯვა, ქალებში კი ჯენი ეკიმატიმ (2:32.18)

ლისაბონის ნახევარმარათონშიც კენიელებმა იჩაუქეს — კაცებში რობერტ ჩაურიოტმა, ქალებში კი პამელა ჩეპჩუმბამ.

კოტე ყორშია

AFP კოლექციიდან

ცრემლი გვდის სიხარულისა

ევროპამ ამერიკას ყვანჯი ჩამოართვა

გოლფი, აი, კიდევ ერთი სფერო, რაშიც წლეულს ამერიკელებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ყოველწლიურ რიდერის თასზე, რომელშიც ერთმანეთს სრულიად ამერიკისა და ევროპის უყოჩაღესი ყვანჯოსნები დაწყვილებით თუ კენტად ეჯიბრებიან, ოკეანგაღმელებმა უძლიერესი შემადგენლობა იახლეს, მათ შორის თვით მისი უყვანჯოვნესობა ტაიგერ ვუდსიც, რომელიც წლეულს მართლა ვეფხვივითაა და ტიტულს ტიტულზე იგებს. მაგრამ წინა ორი შეხლის მსგავსად, კონტინენტთა შორის დავა კვლავ ბებერმა მოიგო, თანაც სარეკორდო ანგარიშით — 18,5:9,5 და ამერიკელები საგონებელში ჩაავდო.

რამდენიმედღიანი შეხლა რომ დამთავრდა, ამერიკელთა კაპიტანი ტომ ლემანი კეფას იქექავდა და წარბებს იჭმუხნიდა — უკვე არც ვიცი, რა უნდა გავაკეთო მოსაგებად. მომზადებულებიც ვიყავით და ყველა იარაღი გამოვიყენეთ, მაგრამ მაინც რა მწარედ დავმარცხდითო. „სამშობლოში ჩასვლის წინ რამდენიმე დღე სადმე სხვაგან გამგზავრება და აზრზე მოსვლა მჭირდება — განაგრძობდა ლემანი — ვიცი, ამერიკაში კრიტიკის წნეხში გამატარებენ."

ევროპელთა შორის ნამდვილი გმირის სახელი დაიგდო ბრიტანელმა დარენ კლარკმა, ვინაც თვენახევრის წინ მეუღლე დაკარგა, ახლა კი ყოველ დარტყმას თითქოს გარდაცვლილ ცოლს უძღვნისო. ისე ითამაშა, თავისი სამივე მატჩი მოიგო და ბოლო ორმო ლამის ცრემლებით ამოავსო, ოღონდ ვერ მოგახსენებთ, ეს ცრემლები სიხარულის იყო თუ ტკივილიანი მოგონების. ეს დარენ კლარკი ახლა BBC-ს „წლის სპორტული პიროვნების" ტიტულის ნომინაციაზე მთავარი კანდიდატია.

კოტე ყორშია

როს ბრაუნი „ფერარიდან" მიდის

Formula 1 როს ბრაუნს იაპონიაში ელიან

საფორმულო სეზონის ფინიში მოახლოვდა და გადასვლა-გადმოსვლის ამბებიც მომრავლდა. საჯინიბოებს შორის პოსტებმონაცვლეობა მხოლოდ მრბოლებს როდი ეხებათ.

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერის გარდა წასვლაზე განაცხადა „ფერარის" ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა, რომელიც 1991 წლიდან შუმისთან იყო ჯერ „ბენეტონში", სადაც გერმანელმა ორი ტიტული მოიპოვა, მერე კი 11 წლის წინათ ერთად გადაბარგდნენ სკუდერიელთა ბანაკში.

51 წლის ბრიტანელმა თავიდან განაცხადა, რომ ერთსეზონიან ტაიმაუტს აიღებდა, რათა ფორმულა ერთისგან დაესვენა და შემდეგ ეფიქრა კარიერის გაგრძელებაზე. მაგრამ ამ დღეებში გერმანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, ბრაუნი „ჰონდასთან" მოლაპარაკებას აწარმოებს და შესაძლოა, უკვე მომავალ სეზონში იაპონური გუნდის ტექნიკურ განყოფილებას ჩაუდგეს სათავეშიო.

იაპონელებმა ორიოდე თვის წინ ამ თანამდებობიდან დაითხოვეს ჯეფ უილისი და დროებით სუჰეი ნაკამოტო დანიშნეს. კონცერნის ბოსობას ეიმედება, რომ ისეთი სუპერსპეციალისტი, როგორიც ბრაუნია, ვითარებას რადიკალურად გამოაკეთებს. ჰონდელებს სადღეისოდ კონსტრუქტორთა თასზე მეოთხე პოზიცია უკავიათ „ფერარის", „რენოსა" და „მაკლარენ-მერსედესის" შემდეგ.

სკუდერიელთა მთავარი კონსტრუქტორი, 62 წლის რორი ბირნიც აცხადებდა, დავიღალე და დროა, საქმეები ახალგაზრდებს გადავაბაროო, მაგრამ, მოულოდნელად კიდევ ორი სეზონით გაგრძელა იტალიურ საჯინიბოსთან კონტრაქტი. აღსანიშნავია, რომ ბირნიც შუმახერისა და ბრაუნის კვალდაკვალ მივიდა „ბენეტონიდან" „ფერარიში". ასე რომ, მიხაელის ტრიუმფში მისი არცთუ მცირე წვლილიცაა.

მაჩანჩალა „მიდლენდ F1-ტოიოტა", რომელსაც წლეულს 15 რბოლაში კინკილა ქულაც კი ვერ მოუპოვებია, რუსული წარმოშობის კანადელმა მეპატრონემ ალექს შნაიდერმა 106 მილიონ დოლარად მიჰყიდა ჰოლანდიურ კონსორციუმს „სპაიკერ კარს". ბუნებრივია, გუნდს სახელი „შეეცვალა „სპაიკერ MF1 რეისინგი" ერქმევა და ძრავებით შესაძლოა, „ფერარიმ" მოამარაგოს. საჯინიბოს ტექნიკურ დირექტორად ცნობილი სპეციალისტი, 38 წლის მაიკ გესქოინი დანიშნა, რომელიც სეზონის დასაწყისში „ტოიოტადან" დაითხოვეს.

„მაკლარენიდან" სამი თვის წინ მოხსნილმა ხუან-პაბლო მონტოიამ კი გუშინ პირველად მიიღო მონაწილეობა ამერიკული „ნასკარის" სერიის ტესტებში. 31 წლის კოლუმბიელი თუ ადვილად აუღებს ალღოს ფორმულა 1-სგან სავსებით განსხვავებულ მანქანას, შესაძლოა, უკვე სეზონის ბოლომდე რამდენიმე რბოლაშიც გამოვიდეს.

გია ახალაძე

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბჭო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00